

ԱՐԵՎԵՆԻ  
ՍՊԸՆՈՒԹՅՈՒՆ



N<sup>o</sup> 4

1948

ՏԵՂԵԿԱԳՐՈՒԹՅՈՒՆ



## క.గ.ం.బ.గ్రంథ

საჩართველოს პლკდ ცენტრალური კომიტეტის  
ზოგადი გაუსახი საბაზო უნი

## ПИОНЕРИ

**Ежемесячный детский журнал  
Центрального Комитета  
ЛКСМ Грузии**  
**(на грузинском языке)**

(на грузинском языке)

გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქციის მისამართი:  
თბილისი ლენინის ქ., № 28,  
ტელეფონი № 3-81-85

ტელეფონი № 3-81-85

ვაცნები გორგანი

სიმღერა


ათასფერად მოიქარგა  
მშობლიური მინდორ-ველი,  
აგვისრულდა ის, რაც იყო  
თბილ ბუხართან სანატრელი;  
გაზაფხულდა, მწვანე ბუჩქთან  
მოიღერა იამ ყელი.

ხეს კვირტები გაუშლია,  
თოვლის ქუდი მთებს არ ხურავთ.  
ეს ნუშია, თუ მის ტოტებს  
მოხვევია ბამბის ქულა!  
ჩვენს ბეღნიერ სამშობლოში  
გაზაფხული შემოსულა.

საამურად მოხტის წყარო,  
ზამთარში რომ ლამის გაშრა,  
დაჲხარიან ყვავილები,  
გაზაფხულის ისმის ვაშა,  
გაკვეთილის სასწავლებლად  
ბაღში გვიწვევს მხე კაშკაშა.

გაზაფხულდა, სხვა ხალისით  
აწკრიალდა სკოლის ზარი, —  
ვისწავლოთ და ბალ-ვენახშიც  
მარჯვედ დავკრათ მიწას ბარი,  
თან სიმღერა შემოვძახოთ,  
გაზაფხულის გასახარი.





4510

### 3. ၁။ လျော့ပြန် — ဘဝအသုတေသန

3. ი. ღენის ბავშვობიდანვე უყვარდა წიგნი

3. օ. լունինու դա, մարտած ոլուս-աշուլու յղանքու, տաշու մոցենեցեցի  
շցուամծոծես, ու հոգու պայցարդա 3. օ. լունին ծացմշոմուլանց წոշնու յոտեցա.  
”Հոգու սաւ հեցն Տամարու ծցեցերնու կողուլի զւեռարամբուտ, — զայամ-  
ծոծես մարտած ոլուս-աշուլու, — զլաճումեր ոլուս-ց պայցել գոլուտ, հաս շեց-  
էց, წոշնեցու, լոյթուցենեցուտ և հզեյլլեցետ քարտութուլո մուլունդա ծա-  
լուս զանմարտուցեցուլ, մպուարու կունկուլի, մարտաց ուցա մազուն և սկամ. օյ  
արտարեցա զլաճումեր ոլուս-ց գուրու և ներուս մշցպալունեցամո. ոյց սկիրա-  
լուու յո ան յոտեցւունծոծ վոշնեցես, արամեց Միւզլունծոծ պարուցես, պյուտեցծու  
շենամշեցես, ովերու վոշնեցուն գուրտաւու. մը մուզլունծու ոմ կունկուլի մասուն  
շւեռ յեցմշու Տամեցարունծ և ա, մաշն չեր քուրու կուլ քարտահա ծացմշու, մաց-  
զուուրեցա ուս մշցպալունծ և վեսուրուց, ուուտաց զլաճումեր ոլուս-ց յուրու-  
ծուա պայցել տաշու սաշմեց...

ეს შორმისუნარიანობა, ეს შეუპოვრობა მუშაობაში მთელ თავის სიცოცხლეში შერჩა ვ. ი. ლეინის“.

# ლ ე ნ ი ნ ი ს მ ა მ ა



ლენინს მამა — ილია ნიკოლოზის-ძე ულიანოვი XIX საუკუნის მეორე ნახევრის შესანიშნავ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი ჩვენთვის ძვირფასია, როგორც დიდი ბელარის მამა და სახალხო განათლების თვალსაჩინო მოღვაწე.

სახალხო სასწავლებლების დირექტორად ყოფნისას ილია ნიკოლოზის-ძემ შემოიღო წერა-კითხვის სწავლების ბერითი მეთოდი. იგი მასწავლებლებისაგან მოითხოვდა, რათა მათ მოსწავლებში აღქმრათ შევნებული აზროვნება, ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებისას არ დაქმაყოფილებულიყვნებს სახელწოდების, თარიღებისა და ფაქტების მარტოოდენ მშრალი ჩამოთვლით, არამედ მოსწავლეთავის მოეთხოოთ საინტერესო მშები, დაკავშირებული ახალახსნილ გაკვეთილებთან.

ილია ნიკოლოზის-ძემ მრავალი, მოწინავე პედაგოგი იღხარდა. ისინი დიდი მონაცემებით შრომობდნენ, რათა სახალხო განათლების პრაქტიკაში ღრმად დაენერგათ თავიანთი მასწავლებლის პროგრესული იდეები. „ულიანოველები“ — ასე უწოდებდნენ ლენინს მამს მიერ აღზრდილ სახალხო მასწავლებლებს.

\* \* \*

აღია ნიკოლოზის-ძე ულიანოვი დაიბადა ქალაქ ასტრახანში 1831 წლის 14 ივნისს. მისი მამა — ნიკოლოზ გასილის-ძე წარმო-

შობით გლეხი იყო, ხოლო ქალაქში დამატებისას თერძობა შეისწავლა და ამ ხელობით აჩხენდა ოჯახს. როცა ნიკოლოზ გასილის-ძე გარდაიცვალა, მისი უფროსი ვაჟი გასილი 16 წლის იყო, ილია კი 7 წლისა.

უფროსი ძმის დახმარებით ილია ნიკოლოზის-ძემ 1850 წელს წარჩინებით ვერცხლის მედლით დაამთავრა ასტრახანის გიმნაზია. ალსანიშვანია, რომ ეს იყო პირველი ვერცხლის მედალი, რომელიც გასცა ამ გიმნაზიამ თავისი ასებობის მთელ განძილებების.

ქვლავ უფროსი ძმის დახმარებით ულიანოვი 1850 წელს სწავლას იწყებს ყაზანის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. იმ დროს იქ პროფესორად იყო ღია რუსი მეცნიერი-მათემატიკოსი ნიკოლოზ ლობახევსკი, რომელიც სტუდენტებს მუდამ მოუწოდებდა ღრმად და საფუძვლიანად შეესწავლათ მეცნიერება. იგი ამბობდა: „ადამიანი დაბადებულია, რათა იყოს ბუნების ბატონი, მზრდნებელი, მეფე. მაგრამ სიბრძნე, რომლითაც უნდა ბრძანებლობდეს იგი, დაბადებით არ დაჰყვება თან: მისი შეძენა შეიძლება მხოლოდ სწავლით“.

გენიალური მეცნიერისა და პროგრესული ადამიანის — ნ. ლობახევსკის მოწაფეთა შორის ალია ნიკოლოზის-ძე ყველაზე ნიჭიერი და შრომისმოყვარე იყო. მისებედავად მძიმე ეკონომიკური გაჭირვებისა, ილია ულიანოვი 1854 წელს ბრწყინვალედ ამთავრებს უნივერსიტეტის კურსს. წერითი ნაშრომისათვის — „ოლბერსის გამოანგარიშების ხერხი და მისი გამოყენება კლინიკერფიუსის კომეტის-ორბიტის განსაზღვრისათვეს“ — მას მცენიჭა მათემატიკურ მეცნიერებათა განადიდატის ხარისხი.

ილია ნიკოლოზის-ძეს, როგორც მეცნიერს, ჰიდი მომავალი ჰქონდა, მაგრამ ოჯახური პირობების გამო იგი იძულებული იყო სამუშაო მოენახა. მისი მოლვაწეობა პედაგოგიურ ასპარეზზე დაიწყო პენზაში. აქ, თავადაზნაურთა ინსტიტუტში, მიიღო ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლის თანამდებადა.

ილია ნიკოლოზის-ძე ულიანოვი გარდაიცვალა 1886 წლის 24 იანვარს.

ლ. ხომარიკი





# მერხეულელი ბიჭი ვარ



## ხევი ბერებისა

ბიჭი ვარ მერხეულელი,  
 წითელ ყელსახვევს ვატარებ,  
 და მე ყოველგან ვამაყობ,  
 და მე ყოველთვის მახარებს,  
 რომ ჩვენს სოფელში შობილა  
 ძვირფასი ძია ბერია,  
 მისი აკვანი მზიური  
 აქ ნაზად დაურწევიათ;  
 აქ ვაუშლია ოცნება  
 და ფიქრი სიყმაწვილისა,—  
 აქ უთქვამს წყაროს წკრიალით  
 საგალობელი ღილისა.  
 აქ გასცემროდა იმედით  
 მწვერვალებს ნისლით შებოლილს...

აქ ციმციმებდა ბავშვობა  
 ბელადის თანამებრძოლის!

\* \*

განა მარტო მე?—ყველანი  
 ამ სოფლის გოგო-ბიჭები,  
 გეპატიუებით, ბავშვებო,  
 ქართულად გეპატიუებით,  
 გვეწვეთ, ნახეთ მიღამო,  
 ნათელი, სახემცინარე,  
 გზა—წებელდისკენ მავალი,  
 მაჭარა—ცელქი მღინარე...


\* \*

მერხეულელი ბიჭი ვარ  
 და მხოლოდ იმის ფიქრში ვარ,  
 არ შევარცხვინო სოფელი—  
 ძია ბერიას მშობელი!..



# მაქსიმ გორგაძე

ახალი ადამიანის აღზრდის შესახებ



ალექსი მაქსიმეს-ძე გორკიმ, რომლის დაბადებიდან მიმდინარე წლის მარტში 80 წელი შესრულდა, დიდი, მრავალფეროვანი და წარმტაცი ცხოვრების გზა განვლო. მან ბევრი რამ ნახა თავისი თვალით; მյაცრი ცხოვრების „უნივერსიტეტებმა“ აღზრდეს მაშინ კაბიტალისტური წყობილებისადმი შეურიგებლობა და რევოლუციური სიძულვილი. ეს წყობილება ამონებდა, ამახინჯებდა და და ასახიჩრებდა ადამიანს. ადამიანი კი გორკისათვის ყოველთვის წმინდათა წმინდა იყო. გორკის მთელი ცხოვრება უკანასკნელ წუთამდე მშრომელი კაცობრიობისადმი მხურებალე სიყვარულით იყო აღსაცეს.

მსოფლიოში არც ერთ მწერალს ისე არ უყვარდა ადამიანი, როგორც გორგის. და არც არავის გორკამდე ასე მძლავრად და მრისხანედ არ აღუმაღლებია ჩემი ადამიანის ღირსების ღასაცავად.

„ადამიანობით აღსაცეს ადამიანის“ აღზრდა — ეს იყო გორკის პედაგოგიური იდეალი. მას სწამდა, რომ ასეთი ადამიანის აღზრდა შეიძლება, რადგან მის თვალწინ სოციალიზმის ქვეყანაში, ლენინის და სტალინის გენით გასხივოსნებულ ქვეყანაში, იმ ქვე-

ყანაში, სადაც, გორკის თქმით, „დაუღალვად და სასწაულმოქმედად მუშაობს იოსებ სტალინის რეინის ნებისყოფა“, იზრდებოდა ახალი ადამიანი. თავისი შესანიშნავი ნაწარმოებებით, თავისი პუბლიცისტური გამოსვლებით გორკი ყოველმხრივ ხელს უშეობდა ამ ახალი ადამიანის აღზრდას.

ახალი ადამიანი, გორკის აზრით, პირველ ყოვლისა უნდა იყოს ჩევოლუციონერი და შრომის აღმიანი. საბჭოთა ახალგაზრდობისადმი მიმართვაში გორკი სწერდა: „თქვენს მუშაობას მთელი მსოფლიო აღვენებს თვალყურს. ბურუუაზიული ქვეყანა, რომელიც სისხლითა გაუღებოთილი, სასიყვალოდ განწირულია. თქვენი საქმე კი — აწყობის და მომავლის საქმე — მსოფლიო მნიშვნელობის საქმეა“. ახალ ადამიანს, ამბობს გორკი, უყვარს შრომა და მან იცის მუშაობა. ახალი ადამიანი მიზნად ისახავს ისე მოაწყოს დედამიწაზე ცხოვრება, რომ იგი ადამიანის ღირსების შესაფერი იყოს.

ახალი ადამიანი, გორკის აზრით, უნდა იზრდებოდეს შემოქმედებითი, კოლექტიური შრომის პირობებში. ცალკეული ადამიანის შემოქმედებითი ძლიერების ყოველმხრივი განვითარება შეიძლება მხოლოდ კოლექტივში. გორკის ახარებდა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირში ბავშვები კოლექტივისტებად იზრდებიან.

ახალი ადამიანი, გორკის აზრით, თავისი სოციალისტური სამშობლოს, თავისი ხალხის მხურვალე პატრიოტია. გორკი მუდამ ეუბნებოდა ახალგაზრდობის: „გიყვარდეთ თქვენი მეორე დედა — მძლავრი სოციალისტური თქვენი სამშობლო“.

ახალი ადამიანის, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელთა აღსაზრდელად გორკი უცილობელ საშუალებად მეცნიერების თვლიდა. ირკუტსკის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებს გორკი სწერდა: „მეცნიერება უნდა გიყვარდეთ, — ადამიანს მეცნიერებაზე უფრო ძლიერი და ძლიერობისილი ძალა სხვა არა გააჩნია რა. თქვენმა მამებმა ხელიდან გამოვლიჯეს ძალაუფლება ქვეყნის მძარცველებს და ფართო გზა გაიხსნეს მეცნიერებისაკენ. თქვენ გევალებათ განაგრძოთ თქვენი მამების მიერ დაწყებული მსოფლიო მნიშვნელობის საქმე... საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ქვეყანა მოითხოვს ათეულ და ასეულ ათას მაღალ განათლების ადამიანებს, მეცნიერების მუშაკებს“.



## მოთხოვებიდან „ჰლაშრები იტალიაზე“

ათი წლისაა პეპე. იგი სუსტია, ტანწვრილი, ხელიკივით სწრაფი; ჭრელი ძონები ჩამოქიდებია ვიწრო მხრებზე, უამრავ დაფლეთილ აღგილებიდან კანი მოუჩანს, მშისადა ჭუჭყისაგან გამუქებული.

პეპე ხმელი ბალახის ლეროსა ჰგავს, —ზღიუდან ჰქის სიონ და თამაშ-თამაშით დააქროლებს მას, — იგი დახტის კუნძულის ქვებზე მშის ამოსვლიდან ჩასვლამდე და ყოველ საათში საიდანმე გაისხის მისი დაუღალავი ხმა:

— ლამაზო იტალია,  
ჩემო იტალია!..

მას ყველაფერი იზიდავს: ბარაქიან მიწაზე უხე ნაკადულებად მონარხარე ყვავილები, მოლილისფრო ქვებში მოსრიალე ხვლიკები, ზეთის ხის გამოკვერილ ფოთლებსა და ზვარის მალექიტურ ქარგაში მოფრითხიალე ფრინველები, ზღვის ფსკერის დაბურულ ბაღებში მცურავი თევზები და ქალაქის ვიწრო, დახლართულ ქუჩებში მოსიარულე უცხოელები: ჩასივებული გერმანელი, დაშინით სახედაჩიჩქნილი, იიგლისელი, რომელიც მუდამ მოგვავნებს მიზანტროპის\* როლში გაწაფულ მსახიობს, ამერიკელი, რომელსაც დაუკინებით სურს ინგლისელს დაემსაგასოს, მაგრამ უშედეგოდ, და შეუდარებელი ფრანგი, საჩხარუნებელ სათამაშოსაგრი ხმაურიანი.

— რა პირისახე! — ეუბნება პეპე ამხანაგებს და ყუვლისმხედველი თვალებით ანიშნებს გერმანელზე, რომელიც მედიდურობით იმ ზომამდე გაბლენილა, რომ ომები ყალხზე შედგომია. — აი, პირისახე, — ჩემს მუცელზე ნაკლები როდია!

პეპეს არ უყვარს გერმანელები; იგი ცხოვრობს იმავე იდეებითა და განწყობილებებით, რითაც ცხოვრობს ქუჩა, მოედანი და ბენელი დუქნები, საბაც მევიდრნი საგამენ ღვინოს, თამაშობენ ბანქოს, კითხულობენ გაზეთს და პოლიტიკაზე ლაპარაკობენ.

— ჩემინთვის, — ამბობენ ისინი, — საწყალი სახერთელებისათვის, უფრო ახლობლები და სასიამოვნონი არიან ბალკანების სლავები, ვიდრე ის, ვითომდა, კეთილი მოკავშირეები, რომელებმაც მათთან მეგობრობისათვის აფრიკის ქვიშით დაგვაჯილდოვეს.

უფრო და უფრო ხშირად ამბობენ ამას სამხერთელი უბრალო ადამიანები, პეპე კი უკველაფერს ისმენს და იმახსოვრებს.

ცხვირპირჩამომტრიალი, კოპშეკრული ინგლისელი, მაკატლის მსგავსი ფეხებით მოაბიჯებს, — პეპე კი წინ მოუდგება და რაღაცაც მიცვალებულის შესანდობარი ლოცვიდან ანდა სევდისმომგვრელი სიმღერიდან ღიღინებს...

პეპეს ამხანაგები უკან მისდევენ, სიცილით იმანჭებიან, მაგრამ, როდესაც უცხოელი თავისი გამოხუნებული თვალებით მშეობად გადახედავს მათ, ისინი თაგვებივით იმალებიან ბუჩქებში, სახლის კედლებს ეფარებიან.

ბევრი საინტერესო ამბის მოყოლა შეძლება პეპეს შესახებ.

ა ერთი მათგანი:

პეპეს და, ბევრად მასზე უფროსი, მაგრამ კეუით მისი ტოლი, — ოთახების დამლაგებლად მოწყობი მდიდარ ამერიკელთან, აგარაკზე. იგი სწრაფად შეიქნა სუფთა, წითელლუკებიანი გოგონა და კარგი ჭამა-სმით აგვისტოს მწიფე მსხალევით გავსო.

ერთხელ ძმამ ჭითხა მას:

— შენ ყოველ დღე ჭამ?

— ორჯერ და, თუ მინდა, სამჯერაც, — ძაბაყით მიუგო მან.

— კბილები შეიცოდე მაინც! — ურჩია პეპემ და ჩაფიქრდა, მერე ისევ ჭითხა:

— ძალიან მდიდარია შენი პატრონი?

— იგი? მე მგონა მეფეზე მდიდარია.

— ეგ სისულელეები მეზობლებს გადაჭლოცე! რამდენი შარფალი აჭეს შენს პატრონს?

\* ბერძნელად კაფორმობულებს ნიშნავს.

— ამის თქმა მნელია.  
— ათი?  
— შეიძლება მეტიც.  
— წალი, მომიტანე ერთი, თბილი იყოს,  
ოლონდ ძალიან გრძელი ნუ იქნება,—უთხრა  
პეპე.

— რისთვის?  
— ხომ ხედავ, ჩემი როგორია?  
მაგრამ დანახვა ძნელი იყო,—პეპეს ფეხებზე შარვლისაგან ცოტალა შემორჩენოდა.  
— ჰო,—დაეთანხმა და,—შენ ჩაცმა გესაჭი-  
როება! მაგრამ ხომ შეიძლება მან გაიფიქროს,  
რომ ჩენ მოვიპარეთ?

პეპემ დამაჯერებლად უთხრა:  
— არ უნდა ჩავთვალოთ ადამიანები ჩვენ-  
ზე სულელებად! როდესაც ბევრიდან ცოტას  
ავიღებთ, ეს ქურდობა როდია, უბრალო გა-  
ყოფა!

— მოჰყვები ახლა ლათაიებს! — არ დაეთან-  
ხმა და, მაგრამ პეპემ სწრაფად დაიყოლია.  
როდესაც დამ სამზარეულოში კარგი ლინაც-  
რისფერი შარებალი მოიტანა, ის პეპეს მთელ  
ტანზე უფრო გრძელი გამოდგა. პეპემ სწრა-  
ფად მოისახრა, როგორ უნდა მოქცეულიყო.  
— მოიტა დანა! — სთქვა მან.

ორიგებ სწრაფად გადააქციეს ამერიკელის  
შარვალი ბიჭისათვის მოსარგებ კოსტიუმად:  
გამოვიდა ცოტა არ იყოს განიერი, მაგრამ  
ტანზე მორგებული ტომარა. ის დამაგრებუ-  
ლი იყო მხრებზე თოკებით, რომელთა შენა-  
სკვა კისერზე შეიძლებოდა, სახელოების მა-  
გიერობას კი კარგად ასრულებდა ჯიბები.


ისინი კიდევ უფრო უკეთესად და მოხერ-  
ხებულად მოაქციობდნენ ყოველივეს, რომ  
ამაში ხელი არ შეეშალა მათთვის შარვლის  
პატრონის ცოლს: შემოვიდა იგი სამზარეუ-  
ლოში და ალაპარაჯდა მეტად უხეში სიტყ-  
ვებით ყველა ენაზე ერთნარად ცუდად,  
როგორც ეს სჩვევით ამერიკელებს.

პეპემ ვერაფრით ვერ შესძლო მისი მეუღრ-  
შეტყველების შეჩერება. პეპე იღუშებოდა,  
გულზე ხელს იდებდა, სასოწარკვეთილებისა-  
გან ხელებს იშნებდა თავში, მისუსტებული  
ხმით ხვენეშოდა, მაგრამ ქალის დაშოშინებას  
საშველი არ დაადგა, ვიდრე მისი მეუღლე არ  
შემოვიდა.

— რაშია საქმე? — იკითხა მან.

გაშინ პეპემ სთქვა:

— სინიორ, მე ძალიან მაკვირვებს ეს ალია-  
ჭოთი, რომელიც თქვენმა მეუღლემ ასტეხა;  
ცოტა არ იყოს თქვენს მაგიერ ნაწერნიც კი  
ვარ. იგი, რომდენადაც მე მინხვდი, ფიქრობს,  
რომ ჩენ შარვალი გავაფუჭეთ, მაგრამ გარ-  
წმუნებთ, რომ ის ჩემს ტანზე კარგადაა მორ-  
გებული. ეს ქალბატონი ალბათ ფიქრობს,



რომ ჩენ უკანასკნელი თქვენი შარვალი წა-  
ვიღეთ და თქვენ აღარ შეგიძლიათ იყიდოთ  
სხვა...

ამერიკელმა შვიდად მოუსმინა მას და  
უთხრა:

— მე კი ვფიქრობ, ვაუბატონო, რომ საჭი-  
როა პოლიციას გამოვუძახო.

— ჰო-ო? — ძალიან გაიკვირვა პეპემ. — რის-  
თვის?

— რომ შენ საპყრობილეში ჩაგსვან...  
ამან მეტად შეაწუხა პეპე, იგი კინალამ  
ატირდა, მაგრამ თავი შეიკავა და ამაყად უთ-  
ხრა:

— სინიორ, თუ ასეთი რამ თქვენ მოგწონთ,  
თუ თქვენ გიყვართ ადამიანების საპყრობილე-  
ში ჩასმა, მაშინ რა გაეწყობა! მაგრამ მე რომ  
ბევრი შარვალი მქონოდა და თქვენ კი არც  
ერთი, მე ასე არ მოვიქცეოდი! მე თქვენ მოგ-  
ცემდით ორს, ადვილი შესაძლებელია, საბ-  
უაც; თუმცა სამი შარვლის ერთად ჩაცმა არ  
შეიძლება, განსაყუთორებით ცხელ დღეებში.

ამერიკელმა გადაიხარხარა: ზოგჯერ მდი-  
დარი კაციც დაღება ხოლმე მხიარულ გუა-  
ბაზე. მერე ცოტა შოკოლადი და ერთი ფრან-  
კიც უთავება პეპეს.

პეპემ ქიბილით გასინჯა ფული და მაღლო-  
ბა გაღაუხადა.

— გმაღლობთ, სინიორ! ეგონებ ფული ნა-  
ტრეილი უნდა იყოს?

თარგმანი შ. გვირგვია.

# კომკავშირის XXX წლისთავისათვის

## კომკავშირის დაბადება

ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა გმი-  
რული საბრძოლო გზა განვლო. იგი შეიქმნა,  
დავაუკაცია და განმტკიცდა ბოლშევიკური  
პარტიის ხელმძღვანელობით. კომკავშირის  
შინაარსით აღსავსე წარსული შეიძლოდ  
არის დაკავშირებული მშრომელი ხალხის  
ბრძოლასთან თავისუფლებისა და ბედნიერი  
ცხოვრებისათვის, სამშობლოს დამოუკიდე-  
ბლობისათვის.

ლენინი და სტალინი ახალგაზრდობას მუ-  
დამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობ-  
დნენ. მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ რე-  
კოლუმიაში ახალგაზრდობა, განსაკუთრე-  
ბით კი მუშა ახალგაზრდობა, დიდ როლს  
ითამშებს და ბოლშევიკური პარტია ყო-  
ველდოლიურ მუშაობას ატარებდა იმისათვის,  
რათა იგი თავის მხარეს ჰყოლოდა. პარტია  
ახალგაზრდებს თავისეკნ იზიდავდა არა მარ-  
ტო მათი გამბედაობისა და დიდი შემოქმე-  
ბით ენერგიისათვის, არამედ იმიტომაც,  
რომ ახალგაზრდობის სახით ბოლშევიკები  
ხელვლნენ ქვეყნის ხვალინდელ დღეს, მის  
ძომავალს.

მძიმე, უხალისო და უუფლებო იყო ახალ-  
გაზრდობის ხედრი რევოლუციამდელ რუ-  
სეთში. აუტანელი გაჭირვება, ხელმოკლეო-  
ბა აიძულებდა მუშებს და გლეხებს თავიან-  
თი შვილები აღრევე მიებარებინათ საწარ-  
მოში, ან ხელოსანთან შეგირდად, ან კიდევ  
მემამულესთან — მოჯამაგირედ. სხვისი  
შრომით გამდიდრების სურვილით შებყრო-  
ბილი კაპიტალისტები და მემამულენი მო-  
ზარდებს აიძულებდნენ მთელი დღე განუწ-  
ყვეტელ ჯაფაში გაეტარებინათ. ხშირი იყო  
ავადმყოფობა, შრომის უნარის დაკარგვა,  
ინვალიდობა.

ყოველივე ამას ემატებოდა პოლიტიკური  
უუფლებობა, სწავლის მიღების შეუძლებ-  
ლობა.

აუტანელი ეკონომიკური და პოლიტიკური  
ჩაგვრა იწვევდა ახალგაზრდებს შორის რე-  
კოლუმიური იდეების სწრაფად გავრცელე-  
ბას, რასაც ხელს უწყობდა ბოლშევიკების  
მიერ ჩატარებული უდიდესი მუშაობა.

1905 წლის რევოლუციის დროს მუშა-  
ახალგაზრდობამ თავი გამოიჩინა, როგორც  
პროლეტარიატის საქმისათვის თავდადე-  
ბულმა საიმედო ძალამ. ათასობით ჭაბუკი  
შედიოდა მუშათა რაზებში, აქტიურად შო-

ნაწილებდა გაფიცებში, რევოლუციურ  
გამოსავლებში. პროლეტარული ახალგაზრ-  
დობის მრავალი მოწინავე შევიდა ამ დროს  
ბოლშევიკური პარტიის რიგებში, გახდა მუ-  
შათა კლასის განთავისუფლებისათვის აქ-  
ტიური მებრძოლი. რევოლუციის დაბარცხე-  
ბის შემდეგაც, შავბნელ რეაქციის წლებში,  
ახალგაზრდობა არ შედრეა, იგი კვლავ პრო-  
ლეტარიატის მოწინავე ნაწილს მაჲყებოდა.  
როგორც ცნობილია, რეაქციის კვლავ მაღა-  
მოჲყა რევოლუციური მოძრაობის აღმოვ-  
ლობა. 1910 წელს დაიწყო სტუდენტთა გა-  
მოსვლები, 1912-1914 წლებში მოწყობილ  
პოლიტიკურ გაფიცებში ახალგაზრდობა  
აქტიურად მოხაწილეობდა.

ბოლშევიკების გაზეთი „პრავდა“, რო-  
მელსაც მაშინ დიდი ლენინის უახლოესი თა-  
ნამებრძოლი ამხანაგი სტალინი ხელმძღვა-  
ნელობდა, ახალგაზრდა თაობას ცრცლად გა-  
ნუმარტავდა პარტიის ამოცანებს, მოუწო-  
დებდა ჩაბმულიყო ბრძოლაში.

1914 წელს დაიწყო ხალხის დიდი ხოცა-  
ულება — მსოფლიო იმპერიალისტური ომი  
ახალი ბაზრებისა და მიწების დაპყრობისათ-  
ვის. მეფის მთავრობა ფრონტზე ათასობით  
გზავნიდა ჯარისკაცის ფარავაში გამოწყო-  
ბილ მუშებსა და გლეხებს. საწარმოებში  
გათს აღვილს კი იყავებდნენ მოზარდები და  
ქალები. ბოლშევიკებმა გააძლიერეს მათთან  
მუშაობა. რევოლუციურ გამოსვლებში ახალ-  
გაზრდობა უფრო ძეტიურად ჩაება, იგი  
მოითხოვდა ომის შეწყვეტას, მატერიალური  
მდგომარეობის გაუმჯობესებას. მთავრობა  
იძულებული ხდებოდა ჭაბუკები ფრონტზე  
გაეცხავნა და ამით ისინი რევოლუციური  
მოძრაობისაგან მოეწყვიტა.

გშრომელი მასების აღმფოთების ტალღა  
გრძელებულებით აზვირთდა 1916-1917 წლე-  
ბში და 1917 წლის თებერვალში მან წალეკა  
თვითმყრობელობა, დაამხო მეფე. მებრ-  
ძოლთა პირველ რიგებში იყვნენ მუშათა  
„გარეუბნების“ შვილები, ჭაბუკები და მო-  
ზარდები. ხალხის მოტივულის წყალობით  
ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს ბურეუა-  
ზიულმა პარტიებმა. მათ, რა თქმა უნდა, არც  
კი უფიტრიათ მუშებისა და გლეხების, ახალ-  
გაზრდების პოლიტიკური და ეკონომიკური  
პირობების გაუმჯობესებაზე, ომის შეწყვე-  
ტაზე.

ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლა  
კვლაც გრძელდებოდა და ამაში ახალგაზრ-  
ვები დიდ როლს ასრულებდნენ. ამ პერიო-  
დში დაიწყო ახალგაზრდების გაერთიანება.  
ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტმა  
ახალგაზრდობის ორგანიზაციები სამუშაოდ  
გაგზავნა ბოლშევიკების ჯგუფი ნ. კ. კრუპ-  
სკაის მეთაურობით. ეკატერინბურგში ახალ-  
გაზრდობის კავშირის შექმნას ხელმძღვანე-  
ლობდა ი. მ. სვერდლოვი, ამიერკავკასიაში  
— ა. ი. მიქოანი.

ახალგაზრდობის კოლექტივები და კავში-  
რები არსდებოდნენ არა მარტი საწარმოებში,  
არამედ რაიონებშიც. პირველად ჩვენს ქვეყა-  
ნაში ნარვა-პეტერგოფის რაიონში წარმოიშ-  
ვა მუშაახალგაზრდების სოციალისტური  
კავშირი, რომლის ორგანიზატორი იყო პე-  
ტიოლოვის ქარხნის მუშა — 19 წლის ბოლშე-  
ვიკი ვასილ ალექსეევი. კავშირის წევრები  
ავტოლებდნენ პროექტმაციებს, შოულობ-  
დნენ იარაღს, გუშაგობრდნენ არალეგალურ  
კრებებს, ეწეოდნენ აგიტაციას მუშებსა და  
ჯარისკაცებში.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელო-  
ბით ახალგაზრდობის კავშირები შეიქმნა  
რუსეთის ბევრ ქალაქში. ახალგაზრდობის  
კავშირებში არსებული რევოლუციური გან-  
წყობით დამფრთხებამ ბურჟუაზიამ სცადა  
შეექმნა თავისი კავშირი „შრომა და სინათ-  
ლე“, რომლის მიზანსაც შეადგენდა მხო-  
ლოდ ცოდნის მიღებისათვის ზრუნვა. პრო-  
ლეტარულმა ახალგაზრდობამ ამ კავშირს  
ბოიკოტი გამოუცხადა.

1917 წლის ივლისში ამხანაგ სტალინის  
ხელმძღვანელობით ჩატარდა ბოლშევიკების  
პარტიის VI ყრილობა. მან პროლეტარიატს  
მიზნად დაუსახა ბურჟუაზიის ბატონობის  
დამხობა, ძალა-უფლების ხელში ჩაგდება.  
ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „ახალგაზრ-  
დობის კავშირების შესახებ“. მასში აღნიშ-  
ნული იყო კავშირების შემდგომი გაფართო-  
ებისა და ბოლშევიკური აგიტაციის შემდგო-  
მი გაძლიერების აუცილებლობა.

დაიწყო ახალგაზრდობის ორგანიზაციუ-  
ლი გაერთიანება ერთიან კავშირში. პეტ-  
როგრადში, მოსკოვში, ეკატერინბურგში  
შეიქმნა საქალაქო კავშირები. ამიერკავკა-  
სიაში მოეწყო ახალგაზრდათა კომუნისტუ-  
რი კავშირი „სპარტაკი“.

ახალგაზრდობის სოციალისტური კავში-  
რები აქტიურად ეხმარებოდნენ ბოლშევი-

კურ პარტიის შეიარაღებული აჯანყების მო-  
მზადებისა და ჩატარებაში. მოსკოვში დაჭი-  
სხვა ქალაქების ახალგაზრდობის უზრუნველყოფის  
ციების ხელმძღვანელობამ გამოიტანა გადა-  
წყვეტილება შეიარაღებული გამოსვლებისა-  
თვის მომზადების შესახებ. ისინი წარმოაღ-  
ენდნენ პარტიის უახლოეს და ერთგულ თა-  
ნაშემზეს გამარჯვებისათვის მასტბის და-  
რაბობის საქმეში. აგვისტოში მუშაახალგაზ-  
რდობამ დაიწყო შეიარაღებული რაზმების —  
წითელი ვერდის შექმნა. ამ რაზმებმა პირ-  
ველი საბრძოლო ნათლობა ჩეკოლუციის  
ბარიკადებზე მიიღეს.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-  
ციის ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ  
ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირები  
უფრო გაიზარდნენ, მონაწილეობდნენ სხვა-  
დასხვა კონტრევოლუციური ბანდების გა-  
ნადგურებისათვის ბრძოლაში. კავშირები  
იქმნებოდა სოფლადაც. მათდამი სწორი  
ხელმძღვანელობისათვის აუცილებლად სა-  
ჭირო იყო რევოლუციონური ახალგაზრდო-  
ბის ყველ კავშირის გაერთიანება. ამ მიზ-  
ნით 1918 წლის 29 ოქტომბერს მოსკოვში  
შეიქრიბნენ ახალგაზრდობის კავშირების  
წარმომადგენლები — დელეგატები. ეს თა-  
რიღი ითვლება კომკავშირის დაბადების  
დღედ. ყრილობამ ახალგაზრდობის ორგანი-  
ზაციას უწოდა რუსეთის ახალგაზრდობის  
კომუნისტური კავშირი. შემოქლებით — რაპძ  
და მიიღო მისი პროგრამა და წესდება.


ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, უმნიშვნე-  
ლოვანესი სახელმწიფო ბრივი საქმეებით  
გადატვირთული, ყრილობას ვერ დაესწრო,  
მაგრამ მის მუშაობას დიდი ინტერესით ეც-  
ნობოდა და თვალყურს აღევნებდა. მან  
კრემლში მიიღო ყრილობის დელეგაცია და  
კავშირის ამოცანებზე დიდხანს ესაუბრა,  
იქნე წერილობით გასცა განკარგულება კომ-  
კავშირისათვის საჭირო თანხების გამოყოფის  
შესახებ.

ყრილობა მიმდინარეობდა მაშინ, როცა  
სამოქალაქო მმა მდვინვარებდა. სოციალის-  
ტურ სამშობლოს საშინელი საფრთხე ელო-  
და. საჭირო იყო ოქტომბრის მონაპოვრის  
დაცვა.

მშრომელებთან ერთად ახალგაზრდებიც  
იარაღს ისნამდენენ და ფრონტზე მიეშურე-  
ბოდნენ...



# ქაბულის დარდი



## მერავნ ლებანიძე

რიონს გაღმა და გამოღმა  
გამოფოთლილან თელები,  
მოიგოგმანა ყაყაჩომ  
გადაჩითული სერები.

ცადგაკიდული ხითხითებს  
ტოროლა, მზისკენ წასული...  
შენ რაღას ჩაფიქრებულხარ  
ზაზული, ბიჭო ზაზული!

ათრთოლებული ნიკაპი  
ზედ მკერდზე დაგიბჯენია!  
გაგშტერებია თვალები—  
წერტილი აგირჩევია!  
იქნებ კლდეს გადაიჩეხა  
შენი გაზრდილი სახარე?!

იქნებ კვიცს ზურგი ეტკინა,  
და არაფერი გახარებს!..  
ან, ვაჲ, თუ აღარ მობრუნდა  
მამილო ლაშქრად წასული!  
ვაი, თუ დედაც აღარ გყავს,  
ზაზული, ბიჭო ზაზული!

არაო, ამბობს ზაზული,  
ზაზა წარბგადარაზული,—  
კვიცი ჭიხვინებს ჭალაში,  
სახარე—უკვე ხარია,  
მამა ხნავს, დედას სამხარი  
მიაქვს და მიუხარია...  
არაო, ამბობს ზაზული,  
ზაზა წარბგადარაზული,—  
ეხ, ჩემი დარდი სხვა არი,  
სულ სხვად ვარ ფიქრში წასული;  
იმისი გალიმილება  
ამომავალი მზის არი,  
ვისაც დედილო არა ჰყავს,  
იმისი დედა ის არი.  
როგორ არ გაგეგონება—  
მთლად ზემო-რაჭის თვალია!  
რა კარგი მასწავლებელი,  
რა საოცნებო ქალია!  
ავად გვყავს, ვაჲმე, ავად გვყავს,  
და გული ფიქრმა დალია!





# ყვავაწების მოყვარული გავრცელება

მთხოვთა

ერთი თვე შესრულდა, რაც მე და ოქსანა შავი ზღვის პირად სახატორიუმში ვისვენებდით.

იმ დღეს ჩვენ ზღვის პირად პალმების ჩრდილში დაესხედით და, ის-ის იყო საუბარი უნდა დაგვეწყო, რომ იქვე ბილიჭე პიონერთა ჯგუფი გამოჩნდა.

— ეს ბოროტებაა! — გაბრაზებული ეუბნებოდა მათ შორის უფროსი — უმცროსს, რომელსაც ყვავილების შევენიერი თაიგული ეწირა ხელში, — ყვავილების გიუი ხარ ნათელა, და სხვა არაფერი! თუ მებაღემ დაგვიახა... .

პატარა, ალისფერ ყელსახვევიანი გოგონა მორცხვად გაჩერდა უფროსი ამხანაგის წინაშე და არ იცოდა რა ექნა, სად წაელო თაიგული. მერმე, უეცრად, ირგვლივ მიმიხედა, ყვავილების კონა ბუჩქებში ისროლა და მკვირცხლი სირბილით მიეფარა ბუჩქებს.

მე ღიმილით შევხედე ოქსანას, მაგრამ გვეკოცი, როცა მის თვალებზე ცრემლი შევნიშნე.

ცრემლის მიზეზი გამოვკითხე.

— ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, — მიპასუხა მან, — იმ პატარა გოგონას სიცელქემ მე მომაგონა ჩემი პატარა მეგობარი. „ყვავილების გიუს“ ვეძახდით მას.

მე კოხვევ იქსანას ეამნა ჩემთვის იმ გოგონას თავგადასავალი. მან სიამოვნებით მიიღო ჩემი წინადადება.

— სისხამი დილა იყო, როცა ნაძვნარით დაბურულ ტუში შევედით სამნი, — დაიწყო ოქსანამ, — მე ყველაზე უფროსი ვიყავი მათ შორის, ამავე დროს მე კომპავშირში მუშაობის თრი წლის სტაჟი მქონდა. ხოლო მარუსია — ჩემზე ერთი წლით უმცროსი იყო.

მისი პირადი საქმეები ჩვენი კომპავშირის ორგანიზაციის მიერ რაიკომში იყო გაგზავნილი, როცა რაიკომის ევაგუაცია მოხდა მტრის მოულოდნელი. თავდასხმის გამო. მარტსია მეტად დაღვრემილი დადიოდა, ნანობდა, რომ დაიგვიანა და ბილეთი ვერ მიიღო. მესამე ამხანაგი, გალია, რომლის მოგონებაც ჩემს გულს ჰქანიას, მხოლოდ ცამეტი წლისა. პიონერის ალისფერ ყელსახვევს ატარებდა, მაგრამ როცა ვერმანელები ჩვენს სოფელში შემოვიდნენ, გალიამ ის ყელსახვევი სავანგებო ძაღლისა შეინახა.

ერთ დღეს პარტიზანებისათვის საჭირო ცნობა უნდა მიგვეწოდებინა და სურსათი ვადაგვეცა მახლობლებისათვის. ტყეში სიარული მძიმე კალათებით არც ისე სასიამოვნო იყო. მოხერხებულად მივდგრებოდით ნაძვნარის გადახლართულ ტოტებში. ვჩქარობდით, რათა დღის სინათლივ მიგველწია დანიშნულ აფგილზე, სადაც მოხუცი მეტყველდა დაგვხელებოდა და წაგვიყვანდა პარტიზანებთან.

— დავიგვიანეთ! — გვისაყვედურა გალიამ.

— არა უშავს, ტყეში მშვიდობით შევდით, საცავა ტყის სილრმესაც მივაღწევთ და საფრთხეც გაქმნება, — ეუბასუხე მე.

თითქოს მიწიდან ამოძრაო, ჩვენს წინ მოულოდნელად გერმანელი თფიცერი და თხი ჯარისკაცი ალიმართა. მოულოდნელობამ შეგვაკრთო.

— სად მიდიხართ? — დამტვრეული რქულით შემეკითხა თფიცერი, რომელსაც რაინდის ჩეინის ჯვარი ჰქონდა მკერდზე.

ჩვენ ვსდომდით.

— სად მიგაქვთ ეს კალათები? — თავაზიანად და თითქმის ალერსითაც წარმოსთვეა თფიცერმა და ერთ-ერთ კალათში ჩაიხედა.

— ფრთხილად, ბატონო თფიცერო, შიგ უშმბარებია, საშიშია არ აფეთქდეს.—სთქვა ვალიამ და გაიღიმა.

თფიცერი შემკრთალი გაშორდა კალათს.

— გაჩხრივეთ კალათები!—ბრძანა თფიცერმა.

ბრძანება შესრულებული იქნა, მაგრამ გერმანელებისთვის საეჭვო არაფერი აღმოჩნდა შიგ.

— კარგია!—დაიწყო თფიცერმა და ჩადაიმდაბლა, — მაგრამ საინტერესოა, სად მიგაქვთ ეს კალათები?

— ბატონო თფიცერო, ეს სანოგაგე ბებიაჩემის აღაპისათვის არის განკუთხავილი. ჩვენში ასეთი ჩვეულებაა: წლის თავზე მიცვალებულს უშმადებობის სანოგავეს, ნიჩვაქს ტყეში და იმ ხისძირში ვდგამ, რომელიც უკელაზე მაღალია. იქ, დამით, ჩამოფრინდებიან ანგელოზები და კალათებს წაიღენ ზეცაში.

ეს ყოველივე ისე წარმოსთქვა ვალიამ, თფიცერი ლამის დაჯერა, ჩვენ კი ვაგვაოცა ამ პატარა გოგოს სითამამემ.

— ბებიაშენთან ანგელოზად თვით შენ ვაგაზავნი, — ბრაზით წამოიძახა „რაინდმა“, — მაგრამ ამ კალათებს თან ვერ ვაგატან, ფრენაზე ხელს შევიშლის.

— ინებეთ, მაგრამ ბებიაჩემი მშიერი დარჩება!

თფიცერი აენთო...

— ეს რა თინი მოიგონეთ, დაწირაჟაბო!— მრისხანედ შეჟყვირა მან და ჯიბიდან მარწუხი ამოირო.

შიშისაგან ავცახცახდი, მარუსიამაც დაკარგა წონასწორობა, ხოლო გალია ჩვენზე მტკიცე აღმოჩნდა, ის ამაყად იდგა.

ჯარისკაცები მიუხვდნენ თვეის უღროსს, გაღია თოკით ხეზე მიაკრეს. გოგონა აუღელებდლად ათვალიერებდა მშობლიურ ტყეს...

თფიცერმა ახლა რატომლაც დაყვავებით მიმართა პიონერს:

— შენანები, შენ ჯერ მეტად ახალგაზრდა ხარ, სთქვი სად იმალებიან პარტიზანები, სამაგიეროდ ჯილდოსაც მიიღებ და სიცოცლესაც.

თფიცერი შესრგა, თითქოს მის გულშიც გაიღვია აღამიანმა, მაგრამ ის იყო წუთით. როდესაც გალიამ დაბალი ხმით სთქვა: მე სიკვდილის არ მეშინიაო, გერმანელი თფიცერი მიიჭრა მასთან და მარწუხით თითები გადაუგრიხა. გოგონა სღუმდა. ხმის ამოუღებლად იტანდა ტანჯას.

გერმანელი სიბრაზისაგან აღჭიალებდა კბილებს და თანაც მთელი ძალონით უგრებდა ბავშვებს თითებს. დამტვრიული თითებიდან ჩამონადენი სისხლით მწვანე მოლიწითლად იღებდოდა.

მე და მარუსია ცრემლორეული შევ-სცეროდით ჩვენი პატარა ამხანაგის წამეტები ბას; გვიკვირდა, საიდან ჰქონდა მის უძარადი სხეულს ამდენი ძალა და ენერგია.

მისმა გმირულმა სულმა ჯალათი დააფიქრა. თფიცერი შესრგა.

საბრალო ვალიას ტუჩები გაუფითრდა, მელავები ჩერებივით ჩამოეკიდნენ სხეულზე, მუხლები ჩაეცეცა, თავი წინ გადომოუვარდა, ის წაიქცეოდა, მაგრამ თოკით იყო ხეზე მიკრული.


მწვავედ ვიგრძენით, რომ ჩვენი პატარა ამხანაგი კვდებოდა.

— გალია, ჩემო პატარა ვალია!— შესძახა მარუსიამ და წინ წარსრგა რამდენიმე ნაბიბიჯი, მაგრამ ძალა აღარ უყო და ბალახებში ჩაიკეცა. რაკი მდუმარება დაირღვა, ნიაგმაც დაპერილა, მომავალავ გალიას სახეს მოუალერსა და ქერა მსუბუქი თმები შეურჩა.

მოულოდნელად ვალიამ დახრილი თავი ზე ასწია, ცრემლჩამდგარი თვალები ზეცას მიაპყრო, ბაგე ოდნავ გაალო და ნელი ხმით წარმოსთქვა:

— მტკიცედ... ამხანაგებო, სტალინი მაინც მოვა... ჩვენ გავიმარჯვებთ!

მისი ხმა ჯერ ნიაგივით ნელი იყო, შემდეგ უცებ ელვად დაპერესა და მეხივით გავარდა.



თითქოს მიწა იძრაო—ჯვრიანი „რაინდი“ დაბარბაცდა და გალიას ახლო გაიშელართა მიწაზე, ჯარისკაცებიც მოცელილებივთ დამხენ პირქვე.

ყოველივე ეს უცებ მოხდა.

ჩვენს წინ სამი უცნობი ვაჟკაცი გაჩნდა.

— უშველეთ!—ვედრებით შევძახე მათ და გალიასაკენ გაეჭინე, მაგრამ ჩემი თხოვნა საჭირო აღარ იყო, ის უკვე ხიდან ჩამოხსნეს.

— ჩემი გალია, ჩემი საყვარელი გოგონა! — ქვითინით ამბობდა ერთი და ხელებს უხვედა.

მე მას დაგვაკირდი და ვიცანი, ის იყო ჩვენი მაწავლებელი ტონია, რომელიც მშობლიურ ენასა და ლიტერატურას გასა-წავლიდა. ის შეტად ნაზი ქალი იყო, მაგრამ ახლა ვაჟკაცებში იშვიათად თუ გამოიცნობდა ვინმე, მას ყველა საბრძოლო იარაღი ჰქონდა, რის ტარებაც კი შეიძლებოდა.

— გალია, ჩემო ცელქო გოგონა, ჩვენ მო-კედით, აბა შემომხედვე, გამომიცანი ვინ ვარ! — ჩასძახოდა ტონია.

გალია შეირხა, ოთნავ გახილა დახუჭული თვალები და ტონიას შეხედა, შემდეგ მასწავლებლის გვერდით დაჩიქილ შავგვრე-მან ვაჟკაცზე შეაჩერა მხედველობა, რომელ-საც წითელარმიელის ფორმა ეცვა.

— უკვე მოხვედით?... დაგვიხსნით? — ათ-რთოლებული ხმით წარმოსთვე გალიამ.

— საჭიროა საკაცე, — უთხრა ტონიამ ამ-ხანგას, როცა ზეზე წამოდგა.

რამდენიმე წუთის შემდეგ საკაცე მზად იყო და ჩვენ გზას გავუდექით. დანიშნულ

ადგილზე მოხუცი შეტყევე არ დაგვხვდა. ქოში არავინ იყო, იქვე მახლობლები, სხვა მოხუცი ეკიდა, ზურგზე წარწერით, ასეთი დღე მოელის ყველა პარტიზანს.

უკან დაბრუნება საშიში იყო, ჩვენს სო-ფელში დიდძალი გერმანელი ჯარი იყო და-ბანაკებული.

მიმართულება შევიცვალეთ იმ იმედით, რომ ვინმე საიმედოს გნაბავდით და გზას ვიღოვილით... მთელი ლამე ვიარეთ.

რიცრადზე შევისცენეთ. ის ორი ვაჟკაცი, რომელებმაც წინადღით დაგვიხსნეს და მოუ-ლი ლამე გალია მოჰყავდათ საკაცით, ადგილ-მდებარეობის გამოსარკვევად წავიდნენ. ჩვენ გალიას გარშემო დაგსხედით, ის ცუ-დად გრძნობდა თავს.

— თქვენ საქართველო იცით, სკოლაში ხშირად გვისაუბრია დიდი ბელადის სამშობ-ლობე. ჩვენი მხლებელი შავგვრემანი ვაჟკა-ცი ქართველია, ის ტყეობიდან გამოექცა გერმანელებს. — გვითხრა ტონიამ.

გალიას თვალები გაუბრწყინდა.

— მე გამიგონია, რომ იქ იანვარშიც ჰყვა-ვინ ვარდები... მე ძალიან მინდა ვნახო სა-ქართველო... როცა ომი დამთავრდება, აუ-ცილებლად ვნახავ ყვავილების ქვეყანას, — მისუსტებული ხმით, სვენებ-სვენებით ამ-ბობდა გალია.

პარტიზანი-წითელარმიელები დაზერვი-დან დაბრუნდნენ.

— როგორ ხარ პატარა ამხანაგო, — მამობ-რიგი გრძნობით შეექითხა შავგვრემანი ვაჟ-კაცი გალიას.

— კარგად ვარ! მხოლოდ მე ის მინდა გა-კიგო, თქვენს სამშობლოში თურმე ზამთარ-შიც ჰყვავის ვარდი, მართალია?

— მართალია. ეს შენ საიდან გაიგე? — შეექითხა ქართველი და შუბლზე დააღი ხე-ლი.


— წამიერთხავს, გამიგონია, იანვარშიც მზე აცხუნებს... ვარდებიც ჰყვავიან... რა კარგია... მზე, სიცოცხლე... მე უთუოდ წამოვალ სა-ქართველოში...

ჩვენ კვლავ გავუდექით გზას. თანდათან უარესდებოდა გალიას ჯანმრთელობა, ის უზროვ ბოდავდა.

— მე საქართველოში წავალ... ყვავილებს დავკრეფ! — იძახოდა ის, მაგრამ ჩვენ დარ-წმუნებული ვიყავით სამხრეთის მზეს ვერა-სოდეს ხახავდა ის. მას სისხლი ჰქონდა მო-წამლული.

მზე გადახრილი იყო, გვთხოვა დაგვეღგა საკაცე.

— ძლიერ ცუდად ვარ, მასწავლებელი! — უთხრა ტონიას, — მე კვედები... ჩემს მშობ-ლებს ასე უთხარით, თქვენ გიგონებდათ-თქმ სიკლილის წინ თქვენი გალია...



სხვა არაფერი უთქვამს, მოკვდა, როგორც  
პატარა ჩიტი კვდება ტყეში. იქვე დავასაფ-  
ლავეთ და ფიცი მივეცით, რომ შურს ვიძიებ-  
დით საძულველ მტერზე.

ჩვენ შევასრულეთ ეს ფიცი.

პარტიზანებს შევურრდით და მათთან ერ-  
თად ვიძროდით... შემდეგ როცა წითელმა  
არმიამ გაათავისუფლა ჩვენი მხარე, შინ დავ-  
ბრუნდით.

\* \* \*

გადიდა ხანი. კომიკაშირის ორგანიზაციამ,  
ტონის თაოსნობით, გალიას ცხედარი ტყი-

დან გადმოასვენა და სკოლის ეზოში დადა-  
საფლავეთ. მას ხომ ძლიერ უყვაროს მარტინ-  
და პიონერთა ორგანიზაცია! მე იმავე სკოლა-  
ში დავრჩი პიონერთა ხელმძღვანელად. ამ  
ზაფხულს შევებულება საქართველოში გავა-  
ტარე, მთელი საქართველო შემოვიარე, ამ  
დღეებში უნდა დაებრუნდე, მინდა საქართვე-  
ლოდან ყვავილები წავილო და მით შევამკო  
ჩემი პატარა ამხანაგის საფლავი. მას ხომ არ  
დასცალდა საქართველოს ნახვა!..



### პ. გოგიაშვილი

ეს რა სიმღერის ხმა ისმის  
მინდერად გასული ბიჭების,  
ეს რა ჭიჭიკი გაისმის  
გულტრელა ლამაზ ჩიტების?  
ნეტავ, რად ესალმებიან  
განთიაღს ნორჩი კვირტები?—  
კეკლუც გაზაფხულს ხედებიან,  
მზეს უმღერიან დიდებით.  
  
ეს რა ბზუილის ხმა ისმის,  
საით მიფრინავს ფუტკარი?  
ეს რა ელურტული გაისმის:  
— გაზაფხულს ქება უთხარით!  
  
სკოლის ფანჯრებთან მერცხალი  
რად დანავარდობს, ნეტავი?  
შრომის ფერხულში ჩაბმული  
ყველა საქმობს და მხნედ არი.  
  
ეს რა გუგუნებს ბელტებში  
ასე მძლავრად და ხმიანად?  
გაახალისა მინდერები,  
გადააშავა მთლიანი.

შრომის ხალისით ხედებიან,  
გაისმის მარჯვე ძახილი,  
მდინარეს დასწაფებია  
ჯიქანავსილი ნახირი,  
  
ცად აზიდული მაღალი  
მრავალწლოვანი ჭიდარი,  
ფოთლები, ახალთ-ხალი,  
ჩვენს მისაწვევად მზად არი;  
  
ჩრდილქეეშ დამსხდარიან მშრომელნი,  
გადაუშლიათ სამხარი,  
იმ კაცს ლოცავენ, რომელიც  
ჩვენზე ზრუნავს და დაგხარის.  
  
წყარო ლივლივებს ანკარა,  
ბინდს არღვევს შუქი მთვარისა,  
გულში სიცოკხლე ჩამდგარა  
მშობლიურ, ტურფა მხარისა;  
  
სადღაც ბულბულის ხმა ისმის,  
სერ-სერ უსმენენ ფიჭვები,  
ტკბილი სიმღერა გაისმის  
შინ მიმავალი ბიჭების.





# წიგნი

მიმღინარე წილის მარტში შესრულდა 25 წელი სახელგანთქმული სომეხი მწერლის ოვანეს თუმანიანის გარდაცვალებიდან. ეს თარიღი ფართოდ იქნა აღნიშნული ჩვენს ქვეყანაში. ოვანეს თუმანიანი დაიბადა 1869 წელს. მისი პირველი ლექსი 1890 წელს დაბეჭდდა. პოეტი თავის საუკეთესოს ნაწარმოებებში ხატავდა მშრომელთა დაბეჩავებულ ცხოვრებას წარსულში, უმდეროდა ხალხთა მეცნიერებას.

მ. თუმანიანის ლექსების საუკეთესო ქართული თარგმანი უკუთვნის პოეტი ი. გრიშაშვილს.

გაზაფხულის სალამო იყო, სახლის წინ ვიკეპით და გსაუბრობდით, როდესაც ეს ამბავი მოხდა. ამ ამბის შემდეგ მე ვერ ვიმიწყებ გაზაფხულის იმ სალამრს.

მერცხალს ბუდე ჰქონდა გაქეთებული ჩვენი სახლის აიგნის ჰერჩე, ყოველ შემოდგომისას ის სტოვებდა აქაურობას, გაზაფხულზე კი ისევ უკინ ბრუნდებოდა. ბუდე კი მუდაშ მიქრული ხვდებოდა ჩვენი აიგნის ჰერჩე.

როდესაც გაზაფხული ითურჩენებოდა, მერცხალიც თავის მხიარული, წერიალა ხმით გამოაჩინდებოდა ჩვენს სოფელში, ჩვენი სახლის სახურავის ქვეშ. მასთან ერთად ხარობდა ჩვენი გულიც.

რა მომხიბვლელი იყო სახურავზე მოვლურულე მერცხალი! ან სალამობით, როცა იგი და მისი ამხანაგები ლამაზად ჩამწკრივდებოდნენ გრძელ ლატანზე და ტკბილად ჭიკჭიკებდნენ.

და ავერ, გაზაფხულთან ერთად, ისიც დაბრუნებულიყო თავის ბუდეში. კვერცხები დაედო, ბარტყები გამოეჩეკა, და მთელ დღეს მხიარული ურვილ-ხევილით დაფრინავდა; საზრდო მოქმედობა ბარტყებისათვის.

იმ სალამოსაც მან ნისკარტით საჭმელი მოიტანა ბარტყებისათვის. ბარტყებმა წიგწიუთ ბუდიდან გადმოყვეს ყვითელი ნისკარტები.

ამ დროს, მოულოდნელად ერთი ბარტყი, რომელიც ყველაზე შეუბოგარი ან ყველაზე მშეირი იყო, ძლიერ აჩქარდა, ჩვეულებრივზე უფრო მეტად წინ გადმოიწია ბუდიდან და—უცებ ძირს ჩამოვარდა.

დედამ შესჭყივლა და დაბლა დაეშვა ბარტყისაენ. მაგრამ იმ წამსვე საიდანლაც გამოვარდა ჩვენი კატა და სწრაფად გაიტაცა ბარტყი.

— აცხა!.. აცხა!.. ყველამ მიგაძახეთ კატას და წამოვცვიდით. მერცხალი კი მწარე უივილოთ დაედევნა კატას. იგი გარს უვლიდა მას, ფრთხიალობდა, ნისკარტსა სცემდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. კატა გაიქცა და შეძრა ბელლის ქვეშ.

ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ შეუძლებელი იყო რაიმეს მოსაზრება.

მერცხალი უივილით ახლა გარს უვლიდა ბელელს. ჩვენ კი, ბავშვებმა, სათითაოდ ჯონი ავილეთ და ბელლის ქვეშ ვატრიალებდით, ვემუქრებოდით კატას მანამდე, სანამ იგი ტუჩების ლოკვით არ გამოვიდა საფარიდან და არ გაიქცა საკუპნაოსაკენ.

მერცხალმა დაინახა რა კატა უბარტყო, ერთი გულშემზარავად კიდევ შესჭყივლა, გაფრინდა, ჩამოჯდა მახლობელ ხის ტოტზე,— მაგრამ მყისვე, მიწაზე ჩამოვარდა, როგორც ქვის ნატეხი. გავიქეცით და დაგინახეთ, რომ მერცხალი მკვდარი ეგდო ხის ქვეშ.

გაზაფხულის სალამო იყო, როდესაც ეს შემთხვევა მოხდა. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ მე არ მაგიშვდება გაზაფხულის ის სალამო, როდესაც პირველად გავიგე, რომ მერცხლის დედაც დედა, მისი გულიც ისეთია, როგორც ჩვენი დედისა.

თარგმნა არტ. ლავითიანეა



# ნორჩ მებალეთა საკავშირო შეკრება



მიმდინარე წლის მარტში ქალაქ ვლადიში მოწყობით ნორჩ მებალეთა პირველი საკავშირო შეკრება. ამ შეკრებაში მონაწილეობა მიიღეს ნორჩ მებალეთა საუკეთესო წარმომადგენლებმა. მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ნორჩმა მებალეებმა ამ შეკრებაზე გაუზიარეს ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება და მიღწევები.

სომხეთიდან წარგზავნილმა ნორჩმა მებალებ გურგენ ნაზარიანმა სთქვა: — ჩვენი პიონერების ოცნება იყო სკოლის ნაკვეთზე გაგვეუწინებია დიდი ბალი, ხოლო სკოლის ეზოში, ფანჯრებთან, დაგვერგო ყვავილები. სურვილის განსახორციელებლად ყველა ბავშვი ერთსულოვნად შეუდგა საქმეს... მიმდინარე გაზაფხულზე ჩვენ მიერ დარგულია 5 ათასი ხე და 3 ათასი ვარდის ბუჩქი. ჩვენ დაერგოთ ხეები სკოლის ნაკვეთზე, გზების გასწვრივ, საკოლმეურნეო მინდვრებზე და ჩვენს ეზოებში.

უკრაინის ნორჩ მებალეთა წარმომადგენლმა პიონერმა ვიტალი კირიშხნეომ აღნიშნა: — უკრაინაში პიონერების მიერ დარგულია მილონობით ხე. პირადად მე 92 ხე გავახარე. რამდენმე ხნის წინათ ნივიტა სერგის-დე ხრუშჩოვმა მოგვიწოდა პიონერებს, რათა დავეხმაროთ უფროსებს საქოლმეურნეო მინდვრებზე ქარსაცავი ზოლების შექმნაში. ამ საქმეს ჩვენ კეთილსინდისიერად შევასრულებთ.

ჩადგან ქარსაცავი ზოლების შესაქმნელად საჭიროა დიდიალი ნერგი, ვიტალი კირიშხნეომ წინადადება წამოიყენა, რომ პიონერების მიერ შეგროვებულ იქნას მცენარეთა თესლი და სკოლებთან მოეწყოს სანერგები.

შეკრებაზე აგრეთვე ილაპარაკეს რუსთან საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის, ყაზახეთის, საქართველოს, ესტონეთის, მოლდავეთის და სხვა საბ-

ჭოთა რესპუბლიკების ნორჩ მებალეთა წარმომადგენლებმა.

შეკრებაზე სასოფლო-სამეურნეო დარგის შეცნიერი მუშაკები ნორჩ მებალეებს ესაუბრენ მცენარეთა მოვლა-მოშენების საკითხებზე.

რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ა. ვოზნეცენსკიმ შეკრებისადმი გაგზავნილ მისასალმებელ წერილში მოუწოდა ნორჩ მებალეებს, განაგრძონ დიდი საბჭოთა სწავლულის და ბუნების გარდამემნელის ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინის შესანიშვავი პატრიოტული საქმე.

შეკრებამ დიდი ერთსულოვნებით გაუგზავნა მისალმება ბავშვების საუკეთესო მეგობარს — ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს.

შეკრება მიმდინარეობდა ორ დღეს — 28 და 29 მარტს.


შეკრების დასასრულს, საღამოს სხდომაზე საკავშირო ლენინურ-სტალინური კომიკ-შირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა — ამხანაგმა ერშოგმა ნორჩ მებალეთა საკავშირო კონკურსში გამარჯვებულთ — 10 საუკეთესო სკოლასა და საბავშვო სახლს გაღსაცა საკავშირო კომისაშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. გარდა ამისა, მათვე მიეცათ ხუთ-ხუთი ათასი მანეთი ფულადი ჯილდო.

კონკურსში გამარჯვებულთა რიცხვში არის საბჭოთა საქართველოს ქალაქ მახარაძის საბავშვო სახლი. ამ სახლის აღსაზრდელებმა დარგებს 770 ძირი ხეხილი და 350 დეკრაციული მცენარე.

ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველი კუთხე, ჩვენი სოფლები და ქალაქები კიდევ უფრო უნდა დამშვენდეს ბალებით. პიონერ-მოსწავლეებმა ამ პატრიოტული საქმის შესრულებაში მასობრივად უნდა ისახელონ თავი. ეს ისეთივე დიდი სახელი და ლირსება იქნება მათთვის, როგორც ხუთზე სწავლა.



# თბილისი



## თბილისი შორეულ წარსულში\*

თბილისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც. მისი დაარსების დროის შესახებ პირდაპირი და უდავო ცნობა შემონახული არ არის, მაგრამ ერთი რამ უკველია, სახელდობრი ის, რომ მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრიდან მანც თბილისი უკვე ქალაქი და ციხე იყო. უძველესი და ამასთანავე უთუოდ სანდო ქართული მატიანე „მოქცევაი ქართლისაი“, როდესაც მეოთხე საუკუნის მესამე მეოთხედის აბებს, სახელდობრ, რომსა და ირანს შორის ბრძოლას საქართველოს დაუფლებისათვის, გაღმოგვცემს, თბილისის ქალაქად და ციხედ ასახელებს.

შემატიანე ჯუანშერის ცნობა იმის შესახებ, რომ მეფე „გახტანგ აშენებდა ქალაქსა თბილისა და საფუძველი ოდენ დაედაო“, გაგებულ უნდა იქნას არა იმ აზრით, თითქოს ვახტანგ მეფეს დაეარსებინოს თბილისი (VII-ს. მეორე ნახევარში), როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰქონია, არამედ იმ აზრით, რომ ვახტანგი აწარმოებდა სპარსელების მიერ დანგრეული თბილისის განახლება-გაფართოებას, რათა აქ გაღმოეტანა თავისი ტახტი მცხეთიდან. თბილისი და თბილისის ციხე-კალა იყ სწორედ ის მთავარი სტრატეგიული პუნქტი, სადაც განმტკიცებული იყვნენ სპარსელები და საიდანაც ისნი მოხერხებულად ებრძოდნენ ქართლის მეფეებს, მცხეთაში რომ ისხლნენ.

ვახტანგს არ დასცალდა თავისი მინების ბოლომდე განხორციელება—ის ღალატის მსხვერპლი გახდა და სპარსელებთან ომს შეეწირა. მაგრამ მისი საქმე მისმა მემკვიდრემ—დაჩიმ—განაგრძო. მემატიანის ცნობით, მეფე დაჩიმ ხელი მიჰყო სპარსელე-

ბის მიერ მოოხრებულ ქართლის აღდგენას, დამთავრა თბილისის მშენებლობა და ტაძრიც მცხეთიდან აქ გადმოიტანა.

\* \* \*

ბუნებრივი სიმძიდრენი, მოსავლიანი მიღმოები, ხელსაყრელი გოგორაფიული მდებარეობა ინდოეთის დიდ საგაჭრო გზაზე, დაწინაურებულ აღმოსავლეთის ქვეყნებთან (ირანთან, ინდოეთთან) დაკავშირების შესაძლებლობა და სხვა იმთავითვე ხელს უწყობდა თბილისის განვითარება-გაზრდას. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ პოლიტიკურ მომენტსაც; სახელდობრ იმ გარემოებას, რომ თბილისი მეფე დაჩიმ დროიდან იძერის სატახტო ქალაქად და ქართლის მეფეთა რეზიდენციად გადაიქცა. და მართლაც, ჩვენ გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისი, სატახტო ქალაქად გადაქცევის შემდეგ ერთბაშად გაიზარდა და დაწინაურდა. თბილისმა მაღლ მცხეთის აღგიღილი დატირა, ხოლო თბილისის ციხემ — კალამ მცხეთის ციხის—არმაზის აღგიღილი.

მაგრამ მაღლ მდგომარეობა შეიცდალა. მეექვსე საუკუნეში სპარსეთის გავლენა იბერიაზე გაიზარდა და მოსხლეობისათვის აუტარელი პირობები შეიქმნა. სპარსელებმა იბერიის მოსახლეობა ბოლოს ისე შეავიწროვეს, რომ ამან საყოველთაო აღშფოთება გაძინდვია. 523 წელს მოთმინებიდან გამოსული ქართველი ხალხი აჯანყდა გურგენ მეფის მეთაურობით, რათა უცხოელ დამპყრობთა უღელი გადაეგდო. აჯანყებული თავდადებით იბრძოდნენ, მაგრამ სპარსელებმა აჯანყება ჩააქრეს. აჯანყების მეთაური გურგენ მეფე იძულებული გახდა თავი დასავლეთ საქართველოსათვის (ეგრისისათვის) შეეფარებინა—თავისი ოჯახითა და მომხრეებით იქ გადასულიყო. სპარსელებმა

\*) იბერიული შემოკლებით.

ამით ისარგებლებს და იბერიაში მეფობა მოსცეს. სპარსეთის შაჰმა ქვეყნის მმართველად თავისი მოხელე — მარზაპანი დანიშნა და რეზიდენციად თბილისი მიუჩინა, ხოლო კალს ციხეში სპარსეთის გარნიზონი ჩააყენა.

იბერიის დამოუკიდებლობის დაქარგვის შემდეგ თბილისმა ბუნებრივად დაქარგა ის პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც მხს, როგორც ქვეყნის სატახტო ქალაქს, ჰქონდა: თბილისი ახლა სპარსეთის სამეფოს პროვინციად გადაქცეულ იბერიის მხოლოდ აღმინისტრაციული ცენტრი იყო, სადაც მარზაპანი იჯდა სპარსეთის ჯარით. მაგრამ ამ გარემოებას არ გაუქარწყლებია თბილისი, როგორც ქვეყნის გულის, მნიშვნელობა იბერიისათვის; თბილისი კვლავინდებურად დარჩა ქართველების შემომკრებ-შემავავშირებელ ანდამატად; არც მისი ეკონომიკური ზრდა შეუჩერებია ამ გარემოებას არსებოთად, რადგან ამიერიდან თბილისი ძალაუნებურად უფრო უშუალოდ ჩაება იმ სააღებ-მიცემო ურთიერთობაში, რომელსაც გაძლიერებული სპარსეთი აწარმოებდა.

ამ დროს ეკუთვნის ანჩისხატის ეკლესიისა და სიონის დიდებული ტაძრის მშენებლობაც, რომელიც დამთავრებულ იქნა VII საუკუნის დასაწყისში.


ის გარემოება, რომ თბილისში, მიუხედავად მაზრებისური სპარსეთის ბატონობისა, ისეთი მონუმენტური ქრისტიანული ძეგლის

შემნებლობა მიმდინარეობდა, როგოროც სიონია, სხვათა შორის, მოწმობს იმას, რომ თბილისი ამ დროს ფაქტიურად ისევ ჭრის ტიანული იბერიის კულტურულ ცენტრალ რჩებოდა და უცხო დამპყრობლებს — აპარატების ძალი არ შესწევდათ წელი შეშალოთ ქართველებისათვის ამ მშენებლობაში.

\* \* \*

შეექცევ საუკუნის დასასრულისათვის სპარსეთისა და რომს (ბიზანტიას) შორის ბრძოლა პირველობისათვის ახალ ფაზაში შევიდა: ხანგრძლივი საგარეო ომებითა და შინაური არეულობით დაუძლურებული სპარსეთი იძულებული იყო პირველობა ბიზანტიისათვის დაეთმო და 591 წელს უკანასკნელთან არახელსაყრელი პირობა დაედო. ამ პირობის თანახმად სპარსეთი, სხვათა შორის, უასს ამბობდა მთელ სომხეთზე და ქართლის (იბერიის) უდიდეს ნაწილზეც სპარსელები ინარჩუნებდნენ ქართლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს; თბილისის ციხეშიც ჯერ კიდევ მათი გარნიზონი რჩებოდა.

მაგრამ მალე ქართველების დახმარებით სპარსელები აქედანაც გააძევეს ბიზანტიილებმა. ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ, რომელსაც ხაზარებიც ჰეველოდნენ, 626 წელს იბილისს ალყა შემოარტყა და, თუმცა ქალაქი ვერ აიღო, სპარსელების გარნიზონის საგრძნობი ზიანი მიაყენა. მეორე წელს კი, როდესაც ჰერაკლე კეისარმა სპარსელები



თქით სპარსეთში დაამარცხა, ხაზარებმა კვლავ გარემოიცვეს თბილისი და აიღეს კი-დეც. თბილისის აღების შემდეგ ხაზარებმა ქალაქი გადასწვეს და დიდი სიმდიდრე ჩაიგ-დეს ხელში.

ხაზარების შემოსევამ გააქარწყლა თბილისის კეთალდღეობა, რაღან ქალაქის გა-დაწვასა და ოხორებასთან ერთად ხაზარებმა თბილისის მოსახლეობა თითქმის მთლიანად გაულიტეს. ხაზარების მიერ თბილისის აღე-ბის შემდეგ საქართველოში ბიზანტიელები გამატონდნენ და მთელი 30 წლის გამავ-ლობაში ქვეყანას აფიშროებდნენ; ხოლო VII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართვე-ლოს ახალი დამპყრობლები მოევლინენ არა-ბების სახით.

არაბთა ბატონობა უმძიმეს უდელს წარ-მოადგენდა ჩვენი ქვეყნისათვის და კერძოდ თბილისისათვის. განსაკუთრებით მძიმე იყო არაბთა ბატონობა პირველ პერიოდში (VII-VIII საუკუნეებში), როდესაც ხალი-ცატი ჯერ კიდევ ძლიერ ცენტრალიზე-ბულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. არა-ბებმა საქართველოში მძიმე ხარკი („ჯიზია-თი“, „ხარაჯა“) შემოიღეს, ქვეყნის სათავე-ში თავიანთი მოხელე—ამირა დააყენეს და ამ ამირას დაუმორჩილეს ქართლის ერის-მთავრები. ეს ამირა თბილისში იჯდა. თბილისშივე იდგა არაბების მთავარი ჯარი, რომლის მომარავება სურსათ-სამოვაგით მოსახლეობის მოვალეობას შეადგენდა.

ასეთ პირობებში თბილისის ზრდა და გან-ვითარება, რა თქმა უნდა, ძნელი იყო. და პართლაც თბილის VII საუკუნის მეორე ნახევრიდან თითქმის VIII საუკუნის დასას-რულამდე საგრძნობ ეკონომიურ ჩამოქვეი-თებას განიცდიდა. მდგომარეობას გამოსწო-რება დაეტყო მხოლოდ VIII საუკუნის და-სასრულიდან, როდესაც არაბთა საგარიო კა-პიტალმა თბილისი ჩაითრია მაშინდელი მსოფლიო ვაჭრობის ფართო ტრიადში და ხალიფატის უზარმაზარ სამფლობელოს ჩრდილოეთ ნაწილში ახლად შეკემნილ სა-ვაჭრო რკალში (ბალდაც-ტრაპიზონ-თბილის-დარუბანდ-აზერბაიჯან-სომხეთი) მას გარკვეული ადგილი მიუჩინა. ამას ხელი შეუშეკო იმ გარემოებამაც, რომ ამ დროი-დან არაბთა ხალიფატში თავი იჩინა ძლიერ-შა რდევითმა პროცესმა, რომელმაც მნიშვ-

ნელოვნად შეასუსტა მათი ბატიონისა ჰეთი-ფერიებში და აგრეთვე საქართველოს მა-ტერიტორიას სამთავროები, რომელიც მა-ლე სრულიად დამოუკიდებელი გახდნენ არაბთა ხალიფატისაგან. ამ უკანასკენელს IX საუკუნიდან ფაქტიურად აღარ ციბდა თბილისის სამთავროც, რომელიც აგრეთვე თავისებურ სამთავროდ იყო გაღაეცეული. ხალიფები ამაღ ცდილობდნენ დელი მდგომარეობის აღდგენას. მათ მიერ არა-ერთგზის მოწყობილი ლაშქრობა საქართვე-ლოში (736, 853, 914 წ. წ.) განდგომილ აძი-რს და ურჩ ქართველ მთავართა დასამორ-ჩილებლად უშედეგოდ მთავრდებოდა იმ შხრივ, რომ ხალიფის ჯარის უკან დაბრუნე-ბის შემდეგ ქართველი მთავრები და თბი-ლისის ამირაც კვლავინდებურად ურს აც-ხადებდნენ ხარჯის გადახდასა და დამორჩი-ლებაზე.

ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის დროს, რო-მელიც 853 წელს მოხდა ბულა-თურქის სარ-დლობით, არაბთა ჯარებმა თბილისი აიღეს, ურჩი ამირა საპაკი სიკვდილით დასაჯეს და შცხოვრებნი გაელიტეს.

დიდად დაზარალდა ჩვენი ქვეყანა მეორე ასეთი შემოსევის დროსაც, რომელსაც აღ-გილი ჰარნდა X საუკუნის დასაწყისში (914 წ.) აბულუკასიმის სარდლობით. აბულ-კასიმა ცეცხლითა და მაცვილით მოვლო მთელი ჩვენი ქვეყანა. მაგრამ ეს იყო უკა-ნასეელი ლახვარი, რომელიც ჩასცეს არა-ბებმა საქართველოს და მის დედაქალაქს. ამის შემდეგ არაბებს აღარ მოუწყისათ მსგავსი ლაშქრობა საქართველოში. ხალიფა-ტი დიდი ხნით დაკინდა და დაუძლურდა. ამასთან დაკავშირებით კი ჩვენი ქვეყნის შიგნით აღრევე დაწყებულმა აღორძინებით-მა პროცესმა უფრო სწრაფი და მყარი ხა-სიათი მიიღო. თბილისის განვითარებისათ-ვისაც ამიერიდან უფრო ხელსაყრელი პო-ლიტიკური პირობები შეიქმნა; მთელი მომ-დევნო საუკუნეების (X, XI, XII) განვა-ლობაში თბილისი ამ ხელსაყრელი პირობე-ბის შედეგად შეუჩერებლივ იზრდებოდა და კითარდებოდა.

(გაგრძელება იქნება)



# 3 ა ტ ა რ ა

## ა ლ ე კ ო

## I

გუშინ იყო ამ სოფელში  
ხალხი ლალი, მხიარული,  
მხის ამისელის უხვეობოდა  
სიმღერით და ურიამულით...  
დღეს რა მოხდა? ნეტავ, სოფელს  
რატომ ასდის შავი კვამლი!  
ვინ წაშალა მიწის პირზე  
პატიოსან კაცის კვალი.

დღემდე ლალი ხალხის შუბლი  
მძიმე ფიქრებს დაეღარა...  
ტყეში მარტოდ სირულით  
დღეს ალექოც დაიღალა.  
დადის, დადის დაფიქრებით,  
მაღალ ხეებს ეფარება:  
ბავშვს ალარ აქეს გუშინდელი  
ხალისი და ნეტარება.  
თოთხმეტი წლის ბავშვის გული  
ოთხმოცწლისას ედარება.

დღეს სიკედილი თან შემოჰყათ  
ბილშ გერმანელ ჯარისკაცებს.  
სოფელს ცეცხლი წაუკიდეს,  
სოფლის განდი დაიტაცეს,—  
და ალექოს ჭარმაგ დედას  
სასიკედილო ხმალი დასკეს.  
დღეს სიკედილი თან შემოჰყათ  
ბილშ გერმანელ ჯარისკაცებს.

გაიხიშენ სოფლელები...  
ხალხი სახლ-კარს გასცდა დილით.  
ავონებდა ბავშვს დედიკო,  
მამაც—ადრე გარდაცვლილი.  
გაიფიქრა, ამ ბრძოლაში  
შეიტანოს მანაც წვლილი.  
პარტიზანთა რაზმს მონახავს,  
საბრძოლველად მათთან ივლის.  
ულრან ტყეში დადის ფრთხილად,  
აკვირდება ხეს და ბუჩქებს.  
ეჭვით უმშერს ყოველივეს...  
და ალექოს ხედავ, უცებ,  
მოიტაცა ერთმა ქუდმა,  
ვარსკელავიან მწვანე ქუდმა;  
შესდგა...სული ეხუთება,  
დააფიქრა მწვავე წუთმა.

იქვე ახლოს გაწოლილა  
საბორელი ჯარისკაცი.  
იქნებ უჭირს, დაჭრილია?  
ო, განადრო არის დაცდის!

მიირბინა, დაიხარა,  
წამოავლო მკლავზე ხელი...  
იგრძნო მკლავი მებრძოლისა  
ცივი იყო, სისხლით სველი.  
შექრთა, მოკლულს დააცქერდა,  
თვალი ცრებლით დაენამა:  
განგმირული ახალგაზრდა  
ჯარისკაცი დაენანა,  
და ბავშვს უცებ გაახსენდა  
თავის დედა, თავის მამა...

არა, უნდა შეებრძოლოს  
მოსეულ მტერს... მაგრამ რითი?  
გაზეთებში წაუკითხავს  
ბავშვთა ბრძოლის მაგალითი...  
ფიქრობს... ირგვლივ იხედება,  
მოკლულთან დგას იგი რიდით.  
ო, მტერს უნდა შეებრძოლოს,  
იყოჩალოს, მოსპონს იგი.  
რა მერე, რა მერე,  
რომ პატარა ბრჭი არი!  
წავა მტკიცედ, დაითარავს  
ტყე მაღალი, ფიქვინი.  
ძლ იერ უნდა მოსპონს მტერი—  
სულით ბნელი გულით ბილში.  
პარტიზანებს უნდა შეხვდეს,  
მაგრამ როგორ? თვით არ იცის.  
დადის მარტოდ, ირგვლივ ისმის  
ჩიტუნების სტენა ნელი...  
მიდის... ნეტავ, ვის უყურებს  
ხესთან მდგარი გერმანელი?

ეს რა მოხდა? გული შეკრთა!  
ნუთუ მტერმა შეამჩნა?  
ელვისუმალ ბუჩქთან გაწვა,  
სავალი გზა შეარჩია.  
თუმცა ისე ახლოს იყო,  
მტერმა როდი დაინახა!  
რა ქნას, საით გაემართოს  
პარტიზანთა მოსანახავა!



ხოხეით გასცდა საშიშ ალაგს,  
შემდეგ ფეხით გზა განაგრძო.  
უდედმამო ბაუშვის გული  
პარტიზანთა ნახვის ნატრობს.

შათ გაუმხელს თავის სევდას,  
მტრებმა როგორ მოჰქლეს დედა,  
რა წამება, რა ვაება  
მოიტანეს მტარვალებმა.

მიდის ფრთხილად, ფეხაკრეფით,  
მალმალ უკან იხედება.  
ეფარება მაღალ ხეებს,  
იმედი აქვს ისევ ხეთა.

აგერ, ფიჭვი ტანმაღალი  
საამო ჩრდილს აფენს ირგვლივ.  
მივა, მის ქვეშ დაისვენებს,—  
გრძელი გზა აქვს გამოვლილი.

მაგრამ ხიდან ვინ ჩამოდის?  
იქნებ ფრიცი?  
დაიმალა...  
ეს ხომ მისი სოფლელია,  
თვალი სტყუის?!—არა, არა!

ჰო, ის არის, სწორედ იგი,  
მიშა ჰქვია,... მოაგონდა.  
ეს რა სწრაფად აუსრულდა,  
სანატრელად რაცა ჰქონდა.

## II

ტყეში ჰქუბდნენ ყუმბარები  
და შავ ბოლში არვინ სჩანდა.  
ელგას ჰგავდა უეცარი  
იერიში პარტიზანთა.

დიდხანს ჰქუბდნენ გამაფრებით,  
შემდეგ ცეცხლი შეანელეს. ერთიანები  
რეინის ალყად შემოერტყნენ. პირადობის  
გადარჩენილ გერმანელებს.  
როცა მტრები დაატყვევეს,  
მოიკითხეს ნორჩი გმირი.  
არსად სჩანდა... მებრძოლო თვალებს  
დაფირინა თითქოს ჩრდილი.  
ვინც მეგზურად რაზეს გაუძლვა,  
ვინც იბრძოდა იმათ გვერდით,  
ნახეს ფიქვის ძირას მწოლი,  
დასისხლული ჰქონდა მკერდი.

აიყანეს, დააკვირდნენ,  
ბაგშეს თვალებში ეწვა მწუხრი.  
საოთაოდ ემბორენ,  
მოიყარეს მის წინ მუხლი.  
პარტიზანთა სახე, შუბლი  
დაელარა ფიქრს და წუხილს.  
გამოსძებნეს ორი ჯორ—  
ორი ტოტი მოსჭრეს მუხის.



და ხელდახელ გაკეთებულ  
საკაცებე დაასვენეს.

იგლოვეს და ნორჩი გმირი  
დაფარულად წაასვენეს.

ოდნავ, ოდნავ ირხეოდნენ  
არყის ხენი და ფიჭვები.

მდუმარ ტყეში ხმა ისმოდა  
პარტიზანთა ნაბიჯების.

ქუდმოხდილი ერთ საკაცეს  
მიჰყებოდნენ დაფიქრებით.



# მოლოაქალაკე ჩიგუწია

მოთხოვთ

შეემ ლრუბლებიდან გამოიხედა და ტყეს მოჰყვინა ნათელი სხივები. ქარი ზეებზე ფოთლებს აშრიალებდა. ბილიკზე გურამი გამოჩნდა. იგი ტყის სიღრმეში მოაბიჯებდა. მკირცხლი თვალებით გარემოს აკვირდებოდა. გურამი გაეცემილების დამზადება დაემთვარებინა და ტყეში წამოსულიყო გასართობად. მცდარი გადაიხებით დალლილი ყმაწვილი ხეების სიხშირეში დაყლაკნილ ბილიკზე გავლით სიამოვნებას გრძნობდა.

უცებ ბიჭუნას ჯაფარას ბარტყის ძახილი შემოესმა. ახლად აქმჩილ ჩირგვებში მიმოიხედა. — გურამმა დაინახა ჩირგვებში ბარტყი აფრთხიალოა. თვალები გუბრწყინვიდა და ბარტყები დასაჭერად დაწვდა, მაგრამ ბარტყი განტჩე გახტა. გურამი დაედევნა და რამდენიმე ნახტომი დასჭირდა, რომ პატარა ჯაფარა დაეჭირა. ბარტყმა საშინელი ჩხავილი მორთო. გურამი შეეციდა ბარტყი. იფიქრა, აქ საღმე ახლოს ჯაფარას ბუდე იქნება, და გადასწყვიტა მოექებნა და ბარტყი შიგ ჩაესვა. დიღხანს ექება ბუდე, მაგრამ ვერსად იძოვა. გურამი დაღონება დაეტყო. ისევ არჩია, შინ წაეყვანა და გაეზარდა.

როდესაც გურამი შინ დაბრუნდა, სახლის აიგანზე, თავისი მეგობრები ამირანი და ავთანდილი დახვდა. მათაც დაემზადებინთ ვაკეეთილები და გურამთან თამაში მოსურვებოდათ. ბავშვებმა გურამის ხელში ჯაფარას ბარტყი რომ დანახახეს, გაეხარდათ.

გურამი მოუყვა მეგობრებს, თუ როგორ იპოვა და დაიგირა ბარტყი. ბავშვებმა პატარა ჯაფარას ხელი შეალეს. ძლიერ მოეწონათ მისი მოთეთრი გულმკერილი, ლურჯად აჭრელებული ფრთხები, უკან გადაშლილი, შავად მბზინავი ქოჩორი, ემაჯურად გამომყურე ცისფერი თვალები.

— კარგი ბარტყია, თუ გაზრდი და გაუწინი, ბავშვთა ოლიმპიადისათვის გამოგადგება. — სოქეა ამირანმა, — მე და ავთან-

დილს, ხომ იცი, გადაწყვეტილი გვაქვს მონაწილეობა მივიღოთ ოლიმპიადაში. მე ჩემი მგალობელი შაშვით და ავთანდილს — თავისი ბუთულა ძალით.

ავთანდილიც ჩაერია საუბარში და ამირანს რჩევა მოიწონა.

გურამი დაფიქრდა.

— კარგი, ბიჭუნი, ეს კარგი სოქეით! მაშ, მეც მიმილია მონაწილეობა ბავშვთა სარარონი ოლიმპიადაში!

\* \* \*

ამირანი დოდიხანია წვრთნიდა ოლიმპიადისათვის თავის შაშვს, რომელსაც „სალამურას“ ეძახდა. ფრინველი გალიაში იყო დამწყვდეული, მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა ოლიმპიადის დღე, მით უფრო მეტ თავისუფლებას აძლევდა ამირანი თავის საკუარელ მგალობელ ჩიტს. შაშვიც გრძნობდა ბავშვის გულკეთილობას და მეტ ხალის იჩენდა გალობაში.

ავთანდილმა თავის ბუთულა ძალის „ჩაგუ“ დაარქვა და მასთან ერთად ყოველ საზიონ-ვახშიმის შემდეგ თამაშობდა და ცეკვავდა.

გურამი სიყვარულით და გულმოლებინებ შეუდგა პატარა ჯაფარას გაწრთვნას. ყოველ სალამოს ართობდა თავის ჯაფარათი მეზობლებსა და ტოლ-ამხანაგებს. პატარა ფრინველი განსაკუიფრებლად იჩენდა წაბაძვის უნარს. ემაჯი ჩიტი ჯავრებდა ცხოველებს. ფრინველებსა და ადამიანებს.

გურამმა უფროსი დის — ბაბილინას თხოვნით თავის ჯაფარას „ორატორა“ უწოდა.

გურამი, ამირანი და ავთანდილი დიდი ინტერესით ემზადებოდნენ ოლიმპიადისათვის.

პიონერების მდგრადი მონაცემები იყო დახმარებოდა ფრიადოსან ბავშვებს თვითშემოქმედებითი უნარის გამოჩენაში.

\* \* \*

ოლიმპიადის დღეც დადგა. სარარონ კლუბის წინ გამოაკრეს აფიშა. პროგრამაში შე-

ტანილი იყო გურამის, ამირანის და ავთან-  
ცილის გამოსელა. აფიშაზე ეხატა მათი „ორა-  
ტორა“, „სალამურა“ და „ჩაგუ“. საჩაოთო  
ოლიმპიადაში შონაწილეობას დებულობდა  
რაიონის მოწინავე სკოლების შემოქმედების  
უნარის მქონე პიონერობის ავლენები.

კლუბის დარბაზში ტევა არ იყო. ნორჩი მა-  
ყურებლებს და ოლიმპიადის მონაწილეებს  
წმინდებიც თან ახლდნენ. აქ იყო რაიონის  
პარტიული ხელმძღვანელები და კომკავშირე-  
ლი აქტივისტები.

დარბაზში ზარის წერიალი გაისმა, სიჩუმე  
ჩამოვარდა. კომკავშირის რაიონმის პიონერ-  
ობის ავლენებითა განყოფილების გამზემ ნორარ  
მარგველაძემ ოლიმპიადა გახსნილად გამო-  
აცხადა.

სცენაზე გამოვიდნენ ნორჩი შემოქმედი.  
ერთმანეთს სცვლილებენ ნორჩი დეკლამატო-  
რები და მომღერლები.

გურამის, ამირანის და ავთანდილის მეორე  
განყოფილებაში მოუხდათ გამოსელა. როდე-  
საც ამირანის გვარი გამოაცხადეს, მან მეგობ-  
რებს ღიმილით გადახედა და მკვირცხლად  
სცენაზე გავიდა. ხელში სალამურა ეჭირა.  
ამირანი ერთ ადგილს შეჩერდა და შაშვი იქ-  
ვე ხელოვნურ ბუქეზე დასვა. შემდეგ თავზე  
ალერსიანად ხელი გადაუსვა. შაშვს ეამა, ერ-  
თი შეფრთხიალდა, ფრთები შეისწორა და  
გალობა დაიწყო. მისი საამო ხმა გულის-  
რამატებობლად ეფინებოდა დარბაზს.

როდესაც შაშვმა გალობა დაამთავრა, აღ-  
ტაცებულმა მსმენელებმა ტაშით დაჯილდო-  
ვა სალამურა და მისი ფამწრითვნელი.

ამირანმა მასლობის ნიშნად თავი დაუქრა  
დამსწრეთ და შემდეგ ისევ ხელი გადაუსვა  
სალამურას. სალამურამ ბუქეზე ხტომა და-  
იწყო, უარის ნიშნად ორასმჯერ გააქნია თა-  
ვი. ამირანმა კვლავ მოუალერსა და სალამუ-  
რამაც ისევ გულის დამატებობები გალობა  
შემოსახა; დარბაზში ისევ გაცხოველებული  
ტაში გაისმა.

სალამურამ ერთხელ კიდევ იგალობა და

ამირანმაც თავისი გამოსელა დაამთავრა. მა-  
ყურებელთა ტაშის გრიალში ზარის მიზნი  
ისმა.

დარბაზში სიწყნარე ჩამოვარდა...

ნორარმა გამოაცხადა ოლიმპიადის შემდე-  
გი მონაწილე.

სცენაზე გამოვიდა ავთანდილი თავისი ჩა-  
გუთი. ავთანდილმა ძალას მოუალერსა. ხე-  
ლით რაღაც ანიშნა და ჩაგუ უკანა ფეხებზე  
დადგა. შემდეგ რაღაც უთხრა და ჩაგუ სკამზე  
დაჯდა კაცივით.

— ჩამოხტი! — გაისმა ავთანდილის ხმა.

ჩაგუ ჩამოხტა.

— გაიარე!

ჩაგუმ წრე გააკეთა და ისევ თავის აღგა-  
ლის დაბრუნდა.

— მარჯვნისაკენ!

ჩაგუ მობრუნდა მარჯვნისაკენ.

დარბაზში გაცხოველებული ტაში გაისმა.

ტაში რომ დასრულდა, სიმებიანმა ორ-  
კესტრიმა საცეკვაო დაუქრა. ავთანდილმა ზა-  
ურა, წრე გააკეთა და თავი დაუქრა ჩაგუს.  
ჩაგუ უკანა ფეხებზე დადგა და ცეკვით უკა  
ავთანდილს. მთო ცეკვა შეტად მომხიბვლე-  
ლი და სასაცილო იყო და აღტაცებული მა-  
ყურებლებიც ხარხარებდნენ.

ცეკვა დასრულდა. ტაშის გრიალში ავთან-  
დილი კულისებში გავიდა და ჩაგუც თან გაჰ-  
ყავა.

შემდეგ სცენაზე გურამი გამოვიდა. ხელში  
ჯაფარა ეჭირა.

გურამმა დარბაზს თამამად გადახედა. ხელ  
ში ორატორა შეატრიალ-შემოატრიალა და  
ხმამალლა შეეცითხა:

— რა გევია სახელი?

— ორატორა! — ცეკირში მოლაპარაკე აღა-  
მიანივით უპასუხა ჯაფარამ.

— რამდენი წლის ხარ?

— ერთის.

— ვისი ხარ?

— ჰურამის!

— არ მესმის, ხმა მაღლა მოთხარ!



— ჰურამის!.. ჰურამის!.. ჰურამის!..  
ტაშმა დაფარა ჯაფარის უქანასკელი პა-  
სუხი.

— გასცინე ძაღლებს! — ჯაფარა სდუმდა,  
ვითომ შეკითხვა ვერ გაიგო. გურამმა ისევ  
გაუმეორა.

— ჰაფუ! ჰაფუ! ჰაფუ! — გაისმა დარბაზში ჯა-  
ფარის ხმა.

— გასცინე კატებს!

— იაუუ!.. იაუუ!..

დარბაზში ტაში დასკეს.

— გასცინე ციქნებს!

დარბაზში გაისმა ციქანისებური ჰეჭირი გრძელებული  
ბავშვებმა ისევ სიცილ-ხარხარით ტაში დასკეს.

— ხალხს უთხარი მადლობა.

— ადლობ! — წამოიძახა ჯაფარამ.

\* \* \*

დასრულდა ბავშვთა სარაიონო ოლიმპია-  
და. ოლიმპიადის უიურმა ოლიმპიადის ბევრი  
მონაწილე დასაჩუქრა, მათ შორის მეგობრე-  
ბი გურამი, ავთანდილი და ამირანი.



## გ ი ვ ი ს / ბ ა ლ ჩ ა შ ი

გაზაფხულია, დადგა აპრილი,  
მწვანე ჩაუცვამთ ხეებს, მთა-ველებს  
და ალუბლები რტოებაყრილი  
გივის ბალჩაში შლიან ყვავილებს.

ხარობს ბიჭუნა, რომ დაიზარდნენ,  
რომ გაუცინეს მზეს ალუბლებმა,  
რომ ასე კარგად გამოიზამთრეს,  
და ვით მეგობრებს ესაუბრება.

იცის ვერ ხარობს ნერგები ობლად,  
იცის და გირჯას არ აგვიანებს;  
ხეებსაც ისე სჭირდებათ მოვლა,  
როგორც საყვარელ ადამიანებს.

ხედავს ბალჩაში ლამაზ ჩიტუნებს  
რა სამურად გააქვთ ულურტული,  
და ათასფერად გულმოჩითულნი  
დასრიალებენ როგორც შურდული.

როცა ზაფხულის ცხელი დღეები  
ქვეყნად სიმწიფის სიხარულს ჰპოებს,  
დაბლა დახრიან ნორჩი ხეები  
მწიფე ალუბლით დახუნძლულ რტოებს.

რტოებს დახრიან გულმადლიქრნი,  
რომ მათ ასეთი მოვლა არგუნებს,  
გივიც მშრომელის ამაყ იერით  
პირს მწიფე ხილით ჩაიტკბარუნებს.

ნარგავთა შორის შრომა-გარჯაში  
ჩიტუნიებიც თავს გარს უვლიან...  
გაზაფხულია გივის ბალჩაში,  
გივის გულშიაც გაზაფხულია.

ნორა გარევიც





## Եռեռօծո

Պարոնցը լեզու սացւյ առօս  
հիշեն յշշանու մտա լա ծարո,  
մաշրամ ծցըրո առ Շաշեցը լեզու<sup>ա</sup>  
և լոլամանու եռենու լարո.  
մանց, մամլու և սոլամանց  
եռմ և յուլ դամատորնելուա;  
ցագառը լու ծյունեա.  
և ա լուրջը լու մոյլուրը լու.  
եռենու պացու մոնագուր  
մական ուրնուն Շաշուր եմեթու...  
Շաշուր պացու մոյլուրը լու,  
մաշրամ ծցըրու առ արականը լու.

օյցը ծցը Ծակու նայուուու,  
մունարու միուց ու տեսլուու;  
մաշեն միուրու մոմենունելու  
առ օյնեն յույետու.  
նուգացի ծյուց ացըն,  
ուց, տուշու ծալած յշշան,  
սամ յուրու ծյուցու,  
սանմ մայուղը ցամուհուց.  
մունաց յուրու առ Շաշուրնուն  
եռենու եռուրու մաշուրնու,  
մաշրամ ծցըրու առ արական  
աելու մասն նալուրուն.



## Մուրտե

Պարոնցը հոգու յժիանեա,  
ալամուն մեյլու յոյրտենու;  
արհետա յրտագ, չունետա յրտագ  
մալլա մոյլեն պացուրուն Շաշուրտենու.  
մատտան առօս, մատ նամուրտ  
մունաց-մուրտեն յշշան լասլուց  
լա ու սագուրտե Շամինու  
լարաչու նուման ամլուց.  
լատուրցին լա պացուրը լու  
լատուրտենուն լուսուրագ,  
մուշուրու լուսուր ոմ մերուսաւըն,  
սալու Շաշուրտե ցայշուրա.

Մուրտեն պացուրուն մունարու  
նայուուու լա ու լուսուրուու;  
ծյուց լամլու ուց ացըն,  
ըռմ առ օյնեն Շամինելու,  
տուցու առօս լացը ծյուլու,  
եմել լուրջը լու, Վարու-Վարուունեն,  
սամ յուրու Շոշ Վոզուն  
մարդու-մարսու Վոշուուն.  
Շաշուրտեն, սամուց եմուրու ամինը վա  
մոնագուր ցայշուրու.  
մաշրամ մասն նալուրու  
ծցըրու առօս այրմալ լու.



## Ճաշի ճաշ

Վուլ բաւլը ճաշի ճաշին,  
Վուլ մոնագուրու մասն օյնէս;  
յագանշենեա մոյլու  
լուրհաջս, ամ լուրտուսանս օնցուտս;  
տու առ լացիուցտ, վայշեցը լու,  
յաշի ճաշին մուս սանելու,  
հոգուրց մոյրտու առ ումուս  
աելու եռենուն մանուն.  
լուրհաջս մոնցրու մասնուն  
ծցի ճաշի Շաշուրը լուսուրու  
ըան նու Շաշ-Շացու եռենուն  
ծցի ճաշին մասնուն մասնուն.

ծցը օյցու լու յանուն,  
— տուշու միրու ու օնցունեն,  
ուշ լու մասն յամուց ծցի ճաշին  
յակա ճաշի յամուց Վոշուուն.  
Յաշի ճաշին մամաց լաքանուն  
մանուն մանուն մանուն,  
մանուն մանուն մանուն,  
լուրհաջս նու մոնշուր նու յանուն  
լունին, վուրու ու սագանուն,  
լատուցտ, հոգուրց Վայշեցը  
ու յանուն մանուն մանուն.





# გამოაწინოთ თქმითი სხეული

რატომ არის, რომ ჩვენს პირისახეს შეუძლია აიტანოს უმյაცრესი სიცივე, ხელები კი ადვილად გვიცვლება? რატომ ხდება, რომ თუ ოდნაგად მაიც დაგვასცელდა ფეხები, სურდო დაგვემართება ან ხელებას დაგვაწყებინებს, მაშინ როდესაც სახისა და ხელების დასცელება არავითარ დაავადებას არ იწვევს?

ჩვენი პირისახე იმიტომ არ ცივდება, რომ იგი მუდამ ლია და შეჩვეულია სითბო-სიცივის მკეთრ მერყეობას. პირისახე, ასე ვთქვათ, გამოწრთობილია და მისთვის საშიში არ არის სიცივე.

მეცნიერულად დამტკიცებულია დაბალ ტემპერატურისთვის ორგანიზმის სწორული შეგუების შესაძლებლობა, თუ სისტემატურად და განუხრელად გამოვაწროთ მას. როდესაც სხეული შეეგუება სიცივეს, თამაშდ შეიძლება უქალტოობა სიარული ზამთარში, ბანაობა ყინულჭრილში, ფეხშიშველა სირბილი თოვლში.

დიდი რუსი მხედართუფროსი სუვოროვი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა საუცხოო შედეგებს აძლევს ადამიანს სხეულის გამოწრთობა. სუვოროვი ბავშვობისას სუსტი და სწორული იყო, დავაკაცებული კი ყველას აკვირებდა თავისი გამძლეობით, ამტანობით. იგი არასოდეს ავად არ გამხდარა. სუვოროვი ღრმად მოსუცებული იყო, როდესაც ყინულოვანი ალპები გადალახა თავისი ჯარით და ნაპოლეონის განთქმული გენერლები დაამარცხა.

როგორ მოხდა, რომ სწორული ბავშვი აქეთი გასორცარი ფიზიკური გამძლეობის, უწყეტი ენერგიისა და ურყევი ნებისყოფის აღამიანად იქცა?

საქმე ისაა, რომ სუვოროვი ყრმობის წლებიდან მუდამ აწრითობდა თავის სხეულს, ზრუნავდა ჯანმრთელობაზე, გარდაქმნა თავისი სხეული სიცივისა და სიცხის ამტანად.

სუვოროვის პირადი მსახური ივანე სერგეევი თავის მოგონებებში წერს:

„სუვოროვი დაწოლისას მხოლოდ ზეწარს წაიხურავდა ხოლმე. როდესაც გაიღიძებდა,

ჯერ კიდევ ჩაუცმელი დაწყებდა წინ და უკან სირბილს ოთახში, ხოლო თუ ლაშქრად იყო, — კარავში... დილით მისტვის მოჰქონდათ ორი ვედრო ცივი წყალი და ერთი ღილი ტამტი. გადაივლებდა ამ წყალს სხეულზე და შეიმშრალებდა...

შინი ლოვინი თივა იყო, ზამთრობით თბილს არაფერს იცვამდა, არც თბილ პალტოს და არც ხელთამონებს არ ატარებდა, თუნდაც მთელი ღლე ყინვაში ყოფილიყო. ხშირად რამდენიმე საათს სრულიად შიშველი დაითოდა, რომ სიცივეს შესჩვევოდა. ასეთი ვარჯიშით და ცივი წყლის ყოველღლიური გადავლებით მან ისე გამოაწროო თავისი სხეული, რომ პირდაპირ ზებუნებრივ არსებად გვეჩვენებოდა:“

სხეულის გამოწრთობას გამსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ღილი ლენინი.

ვ. ი. ლენინი თავის ნათესავებისა და მეგობრებისაღმი წერილებში ხშირად ლაპარაკობს სხეულის გამოწრთობის აუცილებლობაზე, როგორც ჯამბრთელობის საუკეთესო საწინდარჩე. ვ. ი. ლენინი იშეითი ჯამბრთელობის ადამიანი იყო, სიცოცხლით სავსე, ამტანი, გამძლე. ემ. იაროსლავსკი თავის მოგონებებში „ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მუშაობა“ წერდა:

„ლენინი ყოველთვის მეტად უბრალო ცხოვრებას ეწეოდა. არაფერი ზედმეტი არ უყვარდა. ვერ თმენდა, როდესაც ქრებებსა და თათბირებზე პაპიროსს სწევდნენ. აწრობდა თავის სხეულს ცივი წყლით, მთებში ფეხით ან ველოსიპედით აოეულ კილომეტრებზე სეირნობით... ლენინი დაუღალავი იყო, წამომწყები, ინიციატორი ყოველგვარი შორეული გასეირნებისა მაღალ პთებში, ალბებშა და კარბატებში და ყველას აკვირებდა თავისი ამტანობით, სიცოცხლის სიყვარულით, მხიარული ხასიათით“.

ნ. კ. კრუსსკაია 1903 წლის 2 ივნისს მიუნცენიდან სწერდა ვ. ი. ლენინის დედას:

„ვლადიმერ ილიას-ძე ყოველ ღლე იზელს ტანს ცივი წყლით...“

ყოველდღიურ გიმნასტიკასა და სხეულის ცივი წყლით დაზელას გ. ი. ლენინი დაიკანებით ურჩევდა ხოლმე თავის ახლობლებს.

ცნობილია აგრეთვე, რომ დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტიო გაზაფხულიდან მოყოლებული გვიან შემოდგომამდე ფეხშიშველი დაციოდა თავის მშობლიურ იასნაია პოლიანაში.

სახელგანთქმული რუსი ფიზიოლოგი ივანე პავლოვი მთელი ზამთრის განმავლობაში, და ისიც ისეთი ზამთრის, როგორიც ლენინგრადში იცის, შემოდგომის თხელი პალტოთ დადიოდა, და 80 წლის ჰასკშიც მდინარე ნევაში ბანაობას განაგრძობდა, ვიდრე მაგარი ყინვები არ დადგებოდა.

დიდი რუსი მხატვრის ილია რეპინის საძინებელი ოთახის ფანჯრებს მინები ზამთარ-ზაფხულ ამოღებული ჰქონდა.

ასეთი მაგალითების მოყვანა კიღევ მრავლად შეიძლება.

როგორც ვხედავთ, დიდი ადამიანები განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობონ სახეულის გამოწრობას და ამას ენერგიის, ფიზიკური გამძლეობის, ავადმყოფობათა საწინააღმდეგო საშუალებების უშრეტ წყაროდ თვლილნენ.

სხეულის გამოსაწრობ საუკეთესო და საიმედო საშუალებებად ძველთაგანვე მიჩნეულია ბუნების ძალები: მზის სინათლე, ჰერი და წყალი. ეს სამი საშუალება ყო-

ველთვის მისაწვდომია აღმამინისათვის, წლის ყოველ დროში, ყოველგვერ ვთქმულ ბებში და ვერავითაზე ხელობრუტის მიმდევა ლებანი მათ ვერ შესცვლის, მათ მაგიერობას ვერ გასწევს.

\* \* \*

როგორ გამოვაწროთ სხეული ცივი წყლით?

ცივი წყლით სხეულის გამოსაწრობად მხედვლობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი პრაქტიკული რჩევა-დარიგება:

1. სხეულის წრობის დაწყება შეიძლება მხოლოდ გაზაფხულსა და ზაფხულში. წრობა უნდა ღავიწყოთ თბილ დღეებში, და რაჯე ერთხელ დავიწყებოთ, აღარ უნდა შევწყვიტოთ არც შემოდგომაზე, არც ზამთარში.

2. პროცედურის დროს სხეულის კანი საჭმალ თბილი უნდა იყოს. ცნობილია, რომ სხეული კარგა ხანს ინარჩუნებს ზომიერ სითბოს ღილის საათებში, გამოღიიდების შემდეგ, ამიტომ წყლით პროცედურისათვის საუკეთესო დროდ მიჩნეულია დიღლა. თვით წყლის ტემპერატურა კი ისეთი უნდა იყოს, როგორსაც აიტანს მოვარჯიშის სხეული.

3. ოთახში, საღაც სხეულის წრობა გიმინარების, ტემპერატურა 16-20 გრადუსი უნდა იყოს; შემდეგში, როდესაც სხეული შეეჩევა წყალს, წრობა შეიძლება აწარმოოთ უფრო დაბალ ტემპერატურაზე.

## ს ხ ე უ დ ი ს წ ყ დ ი თ დ ა ზ ე რ ა

დილით, ადგებით თუ არა ლოგინიდან, კუჭის განთავისუფლებისა და ხელპირის ან მარტო ხელის დაბანის შემდეგ (პირისახის დაბანა და კბილების გამოწენდა მერმეც შეიძლება), გაშიშვლდით წელამდე და წყლით სველი, ოდნავად გაწურული ხაოიანი ტანსახოცით შეუდექით ტანის დაზელას შემდეგი თანმიმდევრობით:

დაიჭირეთ ტანსახოცი ხელში ისე, როგორც ეს ნაჩენებია სურ. № 1-ზე და დაიზილეთ კისერი, მხრები და მკერდი (მკერდის მეორე ნახევრის დასაზელად ტანსახოცი გადაინაცვლეთ მეორე ხელში). შემდეგ დაიზილეთ მარჯვენა და მარცხენა მკლავები (იხ. სურ. № 2). მორჩებით თუ არა ამ პროცედურას, ნახევრად ჩაჯექით მუხლებზე და ხელისგულით მარჯვენა და მარცხენა მკლავების მასაუი გაიკეთეთ (იხ. სურ. № 3). შემდეგ გასწორდით მუხლებში და აბლაკისრის, მხრებისა და მკერდის მასაუი გაიკეთეთ (იხ. სურ. № 4 და № 5).

როდესაც მასაუს მორჩებით, აიღოთ სველი ტანსახოცი და დაიზილეთ ზურგი ჯერ ჯვარედინად, მერე განდაგან (იხ. სურ. № 6). შემდეგ ზურგის მასაუი შეასრულეთ.





2



3



4



5



6



როგორც კი მორჩებით ზურგის მასაფს, სველი ტანსახოციურ დაწერული  
იზილეთ მუცელი (დაზელა აწარმოეთ ისე, რომ ხელი აკეთებული არ იყო), ე. ი. საათის ისრის მი-  
კონცენტრულ წრეებს მარჯვნიდან მარცხნივ, ე. ი. საათის ისრის მი-  
მართულებით), შემდეგ მუცლის მასაფიც შეასრულეთ და სწრაფად  
ჩაიცვით პერანგი.

ახლა სხეულის ქვედა ნაწილი გაიშიშვლეთ და სველი ტანსახო-  
ცით დაიზილეთ ფეხები, შემდეგ მათი მასაფიც შეასრულეთ და ტანთ  
ჩაიცვით.

სველი ტანსახოცით დაზელა სწრაფად უნდა ხდებოდეს, მასაფი  
კი შეიძლება გახანგრძლივდეს, ვიდრე სხეულში საამო სიობოს არ  
იგრძნობოთ.

პროცედურის დროს ისუნთქეთ ლრმად, ერთი წუთითაც არ შეა-  
ჩეროთ სუნთქვა.

მასაფის დროს ხელი უნდა ამოძრაოთ მუცლიდან ნიკაპისაკენ,  
ხელის მტევნიდან მხარისაკენ, ტერფიდან მკერდისაკენ, ე. ი. მოძრა-  
ობა მიმართული უნდა იყოს გულისაკენ.

მთელი ეს პროცედურა დიდ დროს არ მოითხოვს. ხელპირის  
დაბანასა და კბილების გაშენდასთან ერთად სულ 15 წუთის საქმეა,  
შედეგი კი შესანიშნავი მოაქვს, მთელი დღე მხნედ იგრძნობოთ თავს.

ტანსახოცისათვის, გარდა უბრალო წყლისა, ზოგჯერ შეიძლება  
მარილ და არაუშერეული წყალი იხმაროთ. ამისათვის საჭიროა ერთ  
ჩაის ჭიქა წყალს შეურიოთ ერთი სუფრის კოვზი არაყი და ჩაის  
კოვზის წვერით აღებული მარილი.

წყლით წროობის პროცედურას სასურველია წინ უსწრებდეს  
დილის გამამხნევებელი ვარჯიში; ოლონდ ვარჯიშით არ უნდა, გაო-  
ფლიანდეთ.

უნდა შეიჩიოთ აგრეთვე ღამით ფანჯარაგაღებულ ოთახში ძილს.  
დაიწყეთ ზაფხულში, განაგრძეთ შემოღომა-ზამთარში და თქვენს  
ყოველდღიურ ცხოვრებაში სამუდამოდ დანერგეთ ეს ჩვევა.



# გრიპი

გაცივება ყოველი ცოცხალი ორგანიზმისათვის და, მაშასადამე, აღამინისათვისაც ძლიერ სახითაოა. როდესაც ორგანიზმი გაცივდება, მისი წინააღმდევობა ამა თუ იმ ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობების მიმართ სუსტდება და ადვილად ავადდება.

გამოჩენილმა ფრანგებმა შეცნიერმა ლუი პასტერმა შეამჩნია, რომ ქათმები, რომელთა ნორმალური ტემპერატურა 42 გრადუსია, ციმბირის წყლულით ავად არ ხდებია, ე. ი. ციმბირის წყლულის გამომწვევი მიკრობებს მათ ორგანიზმში შეჭრა არ შეუძლიათ. მაგრამ თუ ქათმებს ფეხებს ცივ წყალში ჩავაყოფინებთ და ამით მათ ორგანიზმს გავაცივებთ, გაცივებული ქათმები ციმბირის წყლულით უკვე იოლად ავადდებიან. ავადდებიან იმიტომ, რომ გაცივების გამო ქათმების თარგანიზმის წინააღმდევობის უნარი ციარდება და ციმბირის წყლულის გამომწვევი მიკრობები უკვე ახერხებენ ამ შემცირებული წინააღმდევობის დაძლევას, ქათმის ორგანიზმში შეჭრას და მის დაავადებას.

აქედან ლუი პასტერმა დასკვნა, რომ გაცივება ორგანიზმის წინააღმდევობის უნარს ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობების მიმართ ამცირებს და სხვადასხვა დაავადებათა ვაჭრცელებას იწვევს.

გაცივება ყველაზე უფრო ხშირად გრიპით დაავადებას უწყობს ხელს.

უკანასკნელ დროდე ფიქრობდნენ, რომ კრისის ის მიკრობი იწვევს, რომელიც 1892 წელს შეცნიერმა ფეივერმა აღმოჩნდა და ფეიფერის ჩხირი ეწოდება. ახლა უმთავრესად, საბჭოთა მეცნიერებმა სმინროინცევამა, ტუშინსკიმ და სხვებმა დაადგინეს, რომ გრიპის ისეთი უმცირესი მიკრობები იწვევს, რომელთა დანახვაც ძალიან ძლიერი მიკრობებითაც კერძოდ ფიქრობდნენ, თავისუფლად კადის ფაიფურისა და თიხის ძალიან მჭიდრო ფილტრებშიც კი, რომლებიც ჩეულებრივად სხეს მიკრობებს მოლინად აკავებენ. ამის გამო ამ ძალიან პატარა მიკრობებს, ანუ მიკრობთა შორის მიკრობებს — ფილტრში გამავალი ვიზუსი ეწოდება. ვიზუს ლათინური სიტყვაა და საერთოდ შემს ნიშნავს, ამ შემთხვევაში კი ავადმყოფობის გამომწვევი ძალიან პატარა მიკრობების აღმნიშვნელია.

გრიპის გამომწვევი ეს უჩინ-მაჩინი მიკ-

რობები უმთავრესად გრიპით დაავადებული აღამინის ნერწყვისა და ცხვირის ლრუს ლორწოში ბუდობენ. ასეთი ლორწოს ან ნერწყვის უმცირეს წვეთშიც კი ფილტრში გამავალი ვიზუსის ძალიან დიდი რაოდენობაა. თუ გრიპით დაავადებულმა აღამინმა ცხვირის დაცემინებისა და ხველების ღრუს ცხვირზე და პირზე ცხვირსახოცი არ მიიღდა, თავის გაჩშემო, დაახლოებით მეტრნახევარი რადიუსით, გრიპის გამომწვევი მიტრობებით დატენილ ნერწყვისა და ლორწოს უმცირეს წვეთებს, შეხვების სახით, ყოველმხრივ მიმღარევების. ეს შეხვები სამინიოთხი საათის განმავლობაში ჰაერში დაცურავენ. მიკრობები რამდენიმე ღრეუს ცოცხლობენ. გრიპის გამომწვევი მიკრობების შემცველი ლორწოსა და ნერწყვის შეხვევი დიდი რაოდენობით ხვედება ავადმყოფის ცხვირსახოცე, პირსაწმენდზე, ბალიშის პირზე და ავადმყოფის ხელებზე, საიდანაც თავისუფლად გადადის ყველა იმ საგნებზე, რომელსაც ავადმყოფი ხელს მოჰკიდებს: წინგზე, ფულზე, ტრამვაის სახელურზე, კიბის მოაჯირზე და სხვა. თუ ჯანმრთელმა აღამინმა ამავე საგნებს მოჰკიდა ხელი ან გრიპით დაავადებულს ხელი ჩამორთვა ან და, გრიპით დაავადებულმა დაახველა ისე, რომ თავისი ნერწყვის შეხვები ჯანმრთელ აღამინს შეარცევია, მაშინ გრიპის მიკრობები რომელიმე ზემოხსენებული გზით ჯანმრთელი აღამინის სასუნთქავ გზებში შეიჭრებიან და ცხვირის ღრუს ან ხახის ლორწოვან გარსზე მოჰკიდებენ ფვეს, საიდანაც შერე სისხლში გადავლენ. სისხლში ისინი ერთგვარ შხამს ანუ ტოქსინს გამოჰყოფენ, რითაც აღამინის ორგანიზმს სწამლავენ და აღამინი თავს აკად იგრძნობს.

როგორც ხედავთ, გრიპის ერთი აღამიანიდან მეორე აღამინზე გადასვლის გზები მრავალია, და იმისათვის, რომ გრიპი არ გავრცელდეს და ჩევნც გრიპით ავად არ გავხდეთ, უბირველეს ყოველისა პირად და საზოგადო ჰიგიენის წესები ზუსტად უნდა დავიცვათ. ხშირად უნდა დავიბანოთ ხელები საპირო, ოთახში უხევად შემოვუშვათ მზის შუქი და სუფთა ჰაერი, არ უნდა ვიხმაროთ სხვისი ნახმარი პირსაწმენდი, ცხვირსახოცი, ბალიშის პირი, კოვზი, ლომბაქი და პირადი

მოხმარების სხვა ნიგოზი. გრიბის საწინააღმდეგო ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად აგრძელებს სპორტი თვლება.

გრიბით ავადმყოფი ცალქე ოთახში უნდა შევათავსოთ. თუ არის შესაძლებლობა არ არის, ავადმყოფის საწოლს შირმა ან ზექარი უნდა ავაფაროთ. ავადმყოფს თბილად უნდა დავხუროთ და ფანჯარა ხშირად გავალოთ, რომ ოთახში სუფთა ჰქონი შემოვიდეს. არ შეიძლება ავადმყოფის პირადი მოხმარების ნიგოზის ხმარება, ვიდრე არ გავრეცხავთ და არ გამოვხარშავთ. არ შეიძლება ავადმყოფს კოცნა და ხელის ჩამორთმევა. გრიბის დაწყებისთანავე ექიმს უნდა დაუძიხოთ. გრიბის დაწყების გამოცნობა ძნელი არ არის: გრიბის დაწყების დროს ადამიანს ჯერ შეაურეოლებს, თავის ტკივილი დაეწყება, ტანში ამტკრევს და უხასიათოდ შეიქნება, მერე სიცხვს მისცემს. სურდოს ნიშნები: ცხვირის ცემინება და შშრალი ხველა დაეწყება. ავადმყოფს ენა შელესილი აქვს, ყლავებს უშლის, თვალებიდან ცრუელი მოსდის და ხმა ჩეგხრინება, ზოგჯერ ცხვირის ნესტოები დაეწყვის და დაუწყლოლდება.

ერთი შეხედვით გრიბი თითქოს უბრალო ავადმყოფია, მაგრამ მას ხშირად მეტად მძიმე გართულებები მოჰყვება ხოლმე. თუ გრიბს დასაწყისშივი სათანადო ყურადღება არ მივაჭიროთ, შეიძლება მას ფილტვების ანთება მოჰყვის, ფილტვების ანთებამ კი თავის მხრივ შეიძლება პლევრიტი ან ფილტვის ჩირქეროვა მოვცევს. გრიბს ხშირად თხ მოსდევს შუაურის ანთება, გულის სარქველების ანთება ანუ ენდოკარდიტი, თირქმელების ანთება ანუ ნეფრიტი, სახსრების ანთება, დამბლა; ბავშვთა ასაკისათვის უკელაზე საშიში ის არის, რომ ბავშვებში გრიბი ხშირად ტვინის გარსის ანთებას ანუ მენინგიტს და თვით ტვინის ანთებას ანუ ენცეფალიტს იწვევს. გრიბი ზოგჯერ ფისტიურ დაგვადებასაც კი იწვევს ხოლმე. გრიბის ეს გართულებები დიდი სიკვდილი-ნობით ხსიათდება. ერთხელ, როცა გრიბის მძიმე ფორმა მძვინვარებდა, მეცნიერმა მენიემ ძალიან კარგად სიჭვა: „გრიბი ადამიანს სიკვდილს უსჯის, გართულებებს კი ეს განჩენი სისრულეში მოჰყავსო“.

გრიბი უკელაზე უფრო გადამდები დაეცემა და ძალიან სწრაფად კრცხულება მოელ მსოფლიოში არ არის სქეთი ჰქონება, რომელსაც ეს ავადმყოფობა მრავალჯერ არ სტუმრებოდეს და მთელი დედამიწის ზურგზე ძნელია ისეთი აღამიანის მონახვა, რომელსაც ეს ავადმყოფია ერთხელ მაინც არ გადაეტანოს. გრიბის ერთეული ანუ სპორადული შემთხვევები უკელაზ და ყოველი მოელი წლის განმავლობაში გვხვდება. წლის ცივ ბერიოდებში კი: ზამთარში, გაზაფხულის დასაწყისში და შემოღვგომის შიწურულში, ზოგიერთი ქალაქის, კუთხის ან ქვეყნის მოსახლეობის დიდი და მნიშვნელოვანი ნაშილი ავადდება. მაშინ ამბობენ გრიბის ეპიდემია არისო. ზოგჯერ გრიბი მთელი დედამიწის ზურგს ერთსა და იმავე ჯროს მოედება, მძიმე ფორმით მძვინვანებს და მთელ კაცობრიობას მუსხს ავლებს. გრიბის და საერთოდ გადამზები სწეულებების ასეთ საყოველთაო გავრცელები პანდემია ეწოდება. კაცობრიობის ისტორიაში გრიბის რამდენიმე ასეთი საშინელი პანდემია იცის. მაგალითად, 1742 წლის ოქტომბერში გრიბის ეპიდემია პეტერბურგში დაწყო, იმავე წლის მაისში ინგლისა და ერმანის მოედვა, ინგისში კი უკვე საფრანგეთში მძვინვარებდა. სექტემბერში იტალიაში, ესპანეთსა და პორტუგალიაში გადავიდა.

1780-1782 წლებში გრიბის ეპიდემია ჩინეთში დაიწყო, რომელიც მაღა მთელი დედამიწის ზურგს მოედვა და ჩინური ავადმყოფობა ანუ „კიტაიკის“ სახელწოდებით იყო ცნობილი.. 1782 წლის ერთი დღე და ლამის განმავლობაში მაშინდელ პეტერბურგში ჩინური ავადმყოფობით ანუ „კიტაიკით“ მთელი მოსახლეობის ერთი მეოთხედი — დაახლოებით ორმოცი ათასი კაცი გახდა ავალ.

გრიბის უკანასკნელი პანდემია 1918-1919 წლებში იყო, რომელსაც ესპანური დაავალება ანუ „ისპანეა“ უწოდეს. „ისპანეა“ ამ ორი წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში დათარებობდა და ოც მილიონზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა.


ექიმი ი. მურავიშვილი

# ნორჩი ფიზიკისის კუთხი

წყდიდან შაქრის მშრალად ამოლება

ბევრი, აღბათ, შეუძლებლად მიიჩნევს წყლიდან შაქრის მშრალად ამოლებას. იქნებ თქვენც გაეჭვებთ ამის შესაძლებლობა. მაგრამ ეს შეუძლებელი როდია.

აიღეთ განიერა აბაზანა ან მინის ქილა. ჩასხით მასში წყალი ორ მესამედზე, მის ზედაპირზე დასდევთ საცობის ან ხის პატარა ნაჭერი, ამ უკანასკნელზე კი შაქრის ნატეხი. შემდეგ აიღეთ ჭიქა, გაღმოაპირევავთ, დაბურეთ საცობზე დადებულ შაქარს და დასწინეთ ფსკერამდე. თქვენ დაინახავთ, რომ შაქარი წყლის დაბალ ფენებში დაიწევს ფსკერამდე. წყალი ჭიქაში არ შევა. შემდეგ თქვენ რომ ამოილოთ ჭიქა წყლითან, მშრალად დარჩენილი შაქარი ამოიწევს წყლის ქვედა ფენებიდან წყლის ზედაპირზე.




ეს მოვლენა დამყარებულია ფიზიკის ერთ-ერთ კანონზე, რომელიც წინამდებრი შეუკალიბის სახელწოდებით არის ცნობილი, რაც შემდეგში მდგომარეობს: ბუნებაში ერთი და იგივე ადგილის დაკავება ორ სხეულს ერთდაიმავავ დროს არ შეუძლია.

რადგან ჭიქაში ჰაერი იმყოფებოდა, მასში წყალი ვერ შევიდა და შაქარიც ვერ დასველო.

კვერცხი ბოთლში

შეიძლება თუ არა მაგრად მოხარშულ ნაკუჭგაცლილ კვერცხს, რომლის დამეტრი 4-5 მილიმეტრით მეტია ბოთლის პირის ღია-მეტრზე, ხელით არ დააწვეთ და ისე მოაქციოთ ჭურჭლის ფსკერზე? ბევრი შეუძლებლად მიიჩნევს ამას.

აიღეთ მაგრად მოხარშულ კვერცხი, გააცალეთ ნაჭუჭი. შემდეგ განიერ პირიან ბოთლში აწოებული ქაღალდი ჩააგდეთ. ჰაერი ბოთლში გაფართოვდება გათბობისაგან



და ნაწილობრივ ამოვა ზევით. მყისვე ღააფარეთ ბოთლს წინასწარ დამზადებული კვერცხი ისე, რომ ბოთლის პირს ყველგან ეხებოდეს და ჰაერს შესაძლებლობა არ ჰქონდეს შიგ შესვლის. მალე თქვენ დაინახავთ, რომ გარე ატმოსფეროს დაწოლა კვერცხს ბოთლში ჩააგდებს.

**ღ. გაღმამიჯვილი**





## იშვიათი ქარხანა

უთუოდ ყველას გინახავთ ქარხანა. ვისაც არ უნახავს, მას წარმოდგენა მაინც აქვს ქარხანაზე, სადაც მზადება სხვადასხვა სახის მანქანები, ელექტრონის მოწყობილობა, დაზები და, საერთოდ, ადამიანის საჭიროებისათვის მრავალგვარი წიგთი...

მაგრამ თქვენ გინახავთ ან გაფიგონიათ ისეთი „დამამზადებელი“ ქარხანა, რომელიც მილიონობით ცოცხალ თევზს უშვებს!?

ასეთი ქარხნები კი არსებობს შორეულ აღმოსავლეთსა და კამჩატკაზე.

ხაბაროვსკის მხარეში, სადგურ ბირჟანის მახლობლად არის პატარა გადასასვლელი „თბილი ტბა“. ასე ეძახიან ამ ადგილს იძისათვის, რომ მის ახლო მდებარეობს გაუყინავი ტბა.

ტბიდან მიედინება მდინარე და ერთვის ობოტის ზღვას.

ყოველ შემოღომაზე ამ მდინარით ობოტის ზღვიდან ტბისაკენ მიეშურებან მსხვილი, ვერცხლისფერი თევზები — ორაგულები ქვირითის დასაყრელად. ორაგულის ქვირითის ყინვა ვნებს, და თბილი ტბა ქვირითის დასაყრელად შეტან მოსახერხებელი და საიმედო აღვილია.

თევზები ისე მრავლად და მიჯრით აწყდებიან ტბას, რომ მთელი მდინარე გუბდება. ქვირითის დაყრის შემდეგ თევზები ზღვაში ველაზ ბრუნდებიან. მგზავრობისა და ქვირითის დაყრის გამო სასიცოცხლო ძალა ეცლებათ და ტბაში იღუბებიან.

ამ გარემოებამ თევზის ჭერით დაინტერესებული ადამიანები დააფიქრა. როგორ უნდა მოხერხდებულიყო ტბაში შეჭრილი უამრავი თევზის გამოყენება ისე, რომ არ განადგურებულიყო მათი შთამომავლობა?

დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად ხალხმა მოიფიქრა ასეთი საშუალება.

ტბის შესასვლელში, მდინარის მთელ სიგანეზე, გაკეთეს მავთულის ცხრილი, რომელიც ზღვიდან წამოსულ თევზებს ტბაში არ უშვებს. ცხრილთან უამრავი თევზი იყრის თავს, სადაც მათ იჭრენ დიდი ბადეებით. დაჭრილ თევზებს აბრუებენ ჯოხის დარტყმით და გადასცემენ საჭანგებოდ მოწყობილ, საწელავ მაგიდებს, სადაც სწარმოებს თევზის გაფატვრა.

საჭიროა ქარგი სპეციალისტი, რომ ხელის ჩქარი და ზუსტი მოძრაობით გაუჭრას თევზს მუცელი და გობზე დაუზიანებლად დაყაროს თევზის ქვირითი და გამანაყოფიერებელი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქვირითისა და გამანაყოფიერებელს ათავსებენ ჩარჩოიან, მომინანქრებულ მავთულის ფაცერებზე. ფაცერებს ალაგებენ განსაკუთრებულ, სათანადოდ მოწყობილ შენობაში, სადაც ფაცერებზე განლაგებულ ქვირითი სისტემატურად, განსაზღვრული ღროის განმავლობაში ასეამენ ტბის წყალს.


ასი დღის შემდეგ ქვირითიდან გამოიჩინა პატაწინა. თევზები — თარგულები. გაზაფხულამდე, სანამ ყინვა გაივლიდეს, ისინი საშენები ცხოვრობენ. გაზაფხულზე კი თარგულებს მდინარეში ჩაუშვებენ. მდინარე ამ პატაწინებს ზღვაში წაიყვანს.. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ისინი, დიდ თევზებად — ორაგულებად ქცეულნი, ბრუნდებიან ტბაში ქვირითის დასაყრელად.

აი, როგორია ცოცხალი თევზების ეს იშვიათი, ერთერთი ქარხანა. იგი წელიწადში 12 მილიონამდე ცოცხალ თევზს უმცვებს.



„თეოსია ურიალებს აფრა ეელი“

ქართულად ითარგმნა და „საბლიტგამმა“  
გამოსცა ვალენტინ კატაევის ცნობილი მო-  
სხრობა „თეთრად ფრიალებს აფრა ეული“.  
ამ მოთხრობაში აღწერილია ოდესის ლარიბ  
ძეთევზეთა ბრძოლა თვითმპყრობელობის  
წინააღმდეგ ათას ცხრას ხუთი წლის პერი-  
ოდში. ოდესის მშრომელებთან ერთად იყო  
„პოტიომეკინელი“ მეზღვაური როდიონ უუ-  
კოვი — წევრი რსუეთის სოციალ-დემო-  
კრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიური  
ფრაქციისა. მასთან ერთად იბრძოდა ყოფი-  
ლი მეთევზე ტერენტი, შემდეგ სავაგონო  
სახელოსნოს მუშა. უფროსების მეოხებით  
გათვითცნობიერდა და ყოველგვარ დახმა-  
რებას უწევდა რევოლუციონერებს ტერენ-  
ტის უმცროსი ძმა პატარა გავრიკი. გავრიკი  
დედ-მამით ობოლი იყო და მას ბაბუა  
მზრუნველობდა. ტერენტის დავალებით ერ-  
თხელ გავრიკი მოელი ღამე დაატარებდა ნა-  
ბეჭდ ფურცლებს სანაბიროზე და მეთევზე-  
თა ნავებში აწყობდა ისე, რომ არავის შეემ-  
ჩინია. გავრიკმა გაცხოველებულ საქმიანობა-  
ში ჩააბა ღდესელი მასწავლებლის ბაჩეს ვა-  
კი, გიმნაზიელი პეტია. ბაქმები ღდესის ქუ-  
ჩებში ბარიკადებზე გამართულ ბრძოლის



დროს ვაზნებს აწვდიდნენ რევოლუციონე-  
რებს. აგრეთვე მათ მონაწილეობა მიიღეს  
მეთევზეთა უბანში გამართულ მაისობაში.  
ბოლოს კი დაეხმარენ მეზღვაურ უუკოვს სა-  
პატიოროდან გაქცევაში. თვითმპყრობელო-  
ბის მიერ დევნილი რევოლუციონერი მე-  
ზღვაური მეგობრებმა აფრაანი ნავით რუმი-  
ნეთში გასტუმრეს.

ეს საინტერესო მოთხრობა ყველა პიო-  
ნერ-მოსწავლემ უნდა წაიკითხოს.

შინაგანი

3. ი. ლენინი—გიმნაზიელი . . . . .	1
ლ. ხომერიკი—ლენინის ძმა (წერილი) . . . . .	2
ხ. ბერულავა — მეჩეულელი ბიჭი გას! (ლექსი) . . . . .	3
მაქსიმ გორგი ახალი დამამანის აღზრდის შესა- ხებ (წერილი) . . . . .	4
მაქსიმ გორგი—პეტე (მოთხრობა) . . . . .	5
კომისარის დაბადება (კომისარის XXX წლისთავისათვის) . . . . .	7
8. ლებანიძე — ზაჟულის დარდი (ლექსი) . . . . .	9
9. სურგულაძე — ყვავილების მოყვარუ- ლი გოგონა (მოთხრობა) . . . . .	10
კ. გოგიაშვილი — გაზაფხული (ლექსი) . . . . .	13
ოვანეს თუმანანი—დედა (მოთხრობა) . . . . .	14
ნორი მებალეთა საკავშირო შექრე- ბა (წერილი) . . . . .	15
11. ჩხეტაა—თბილისი (ისტორიული ნარკევი) . . . . .	16
კ. ქურდიანი — პატარა ალექს (პოემა) . . . . .	19
3. გაბილაა—მოლაპარაკე ჩიტუ- ნა (მოთხრობა) . . . . .	21

6. გურეშიძე — ვივის ბალჩიში (ლექსი) . . . . .	23
ი. აბაშიძე—საქართველოს ბუნება (ლექსიბი) . . . . .	24
გამოაწრთეთ თქვენი სხეული (ნორჩი ფიზ- კულტურისტის კუთხი) . . . . .	25
ი. ქურჩიშვილი—გრიძი (ექიმის საუბარი) . . . . .	28
დ. გელევანიშვილი — ნორჩი ფიზიკ- სის კუთხე . . . . .	30
იშვიათი ქარხანა (წერილი) . . . . .	31
„თეოსია დ ფრიალებს აფრა ეული“ (ბიბლიოგრაფია) . . . . .	32
3. გორგანელი—სიმღერა (ლექსი) გარე. შე-2 გვ- მსოფლიო პირველობა ჭაღრაში გარე. შე-3 გვ- ქართველ მოღვაწეთა ფოტოსრული— ტება . . . . . გარე. შე-4 გვ- გარეკანზე 3. ჯაფარიძის ნახტი „თბილისი. სანაპიროს ხედი“. . . . .	33

- პასუხისმგებელი რედაქტორი 8. კაპანიძე  
სარედაქტო კოლეგიიდან: ი. აბაშიძე, აკად. 6. ბერულაძიშვილი,  
შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), გ. გარდიაშვილი, პროფ. გ. თავშიშვილი,  
ხ. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

# მსოფლიო პირველი ჭარბაკში



ა. ბოგეივის და ვ. ქარასის ვარგის

სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ა. ებრაულის  
კომიტეტის მიერთებით.

თეთრები—შინელ ბოტვინიკი, შავები—პაულ კერესი.

ჭავა, 25 მარტი 1948 წ.

1. d2—d4 მg8—f6
2. c2—c4 e7—e6
3. მb1—c3 ქf8—b4

კერესის მიერ არჩეულ დებიუტს ეწოდება დანიელ  
გროსმაისტერის ნიმცოვიჩის სახელი.

4. e2—e3 0—0
5. a2—a3 ქb4:c3+
6. b2:c3 ქf8—e8
7. მg1—e2 e6—e5
8. მe2—g3 d7—d6
9. ქf1—e2 მb8—d7
10. 0—0 c7—c5
11. f2—f3 c5:d4

შავების მეტერმეტე სულა სუსტია, რადგან, ან-  
თავისუფლებს თეთრების ერთად-ერთისისუსტეს გაო-  
რებულსა და ბლოკირებულ ც-პაიგებს და ზრდის თეთ-  
რების შავუჯრედიდან კუს პოტენციალს.

12. c3:d4 მd7—b6
13. ქc1—b2 e5:d4

ამ სულის შემდეგ კიდევ უფრო იზრდება ხ2—კუს  
ძალა.

14. e3—e4 ქc8—e6
15. ქa1—c1 ეe8—c7

16. ლd1:d4 ლd8—c7

17. c4—c5 d6:c5

18. ეc1:c5 ლc7—f4

შავების ამ სულის შემდეგ თეთრები ადვილად  
იგებენ, უდარ რომ უკეთესი იყო 18. ...ლc7—d8.

19. ქb2—c1 ლf4—b8

20. ეc5—g5 მb6—d7

მუქარა იყო 21. ლd4:f6.

21. ეg5:g7+ მფg8:g7

22. მg3:h5+ მფg7:g6

23. ლd4—e3

კერესი დანებდა გამოუვალი შამათის გამო.  
ამ პარტიაში გროსმაისტერ კერესმა ვერ შესძლო თა-  
ვისი დიდი ნიჭის გამოყენება.

## ორი წრის შედეგები

NN	ამნაზიანი	1	2	3	4	5	კულტურული
1	ბორისიანი სსრა		1 1 ½	½	1 ½	1 ½	6
2	პარაგო სსრა	0 0		1 1 0 ½	1 ½		4
3	სისიონი სსრა	½ ½ 0 0			½ ½ 1 1		4
4	რაბიანი ევრ	0 ½	1 ½ ½ ½			1 ½ 4 ½	
5	ერიკ შოვარძე	0 ½ 0 ½ 0 0	0 0 ½				1 ½

## გამოცანები

1

მინდორზე დაჯდა, დაჭხარის  
ხალიჩას მწვანე ბეწვიანს,  
ფერადი სუფრა გაშილა,  
სტუმრად ფუტკარი ეწვია.

2

ის ხმელეთზე დაიბადა,  
გაიჩინა ზღვაზე ბინა,—  
ახლა ცეცხლით ამლერებულს  
ახარებდა ქარი წინათ.

3

ზოგჯერ იცის გაბრაზება,  
გაზაფხულზე უფრო მეტად,  
თავის გზაზე ვერ ეტევა,  
ქვეყანასთან შებმას ბედნებს;

არ ჩერდება, სულ წინ მიდის,  
მაგრამ თვალით ვერას ხედავს,  
მუდამ დაბლობს ეტანება,  
თუმცა მთაა მისი დედა.

4

მდინარეზე მიდის-მოდის,  
გემზე მცირე, ნავზე დიდი,  
მეზავრს სპირდება მხოლოდ მაშინ,  
თუ არ არის წყალზე ხიდი.

\* ბორის გეთანალი

შავ-კაბა, ყვითელ ნისკარტა,  
მცხოვრები ტყის და ბალისა,  
ჩევნთანა რჩება ზამთარშიც,  
ჭაბჭანებს შესაბრალისად;  
ზაფხულში უსტვენს სამოლ  
ბულბულის შესადარისად.

დ. რაძამიძე



3560 5 856.



ამ ფოტოსისტემის გამოსახულია გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები:  
გამოიცანით!